



მთავარი თემა:

საახრავრო სვნიცაბები უსვნიცი ჰონიტიხუნი ბახემოსთვის

შურნალისტური
ბამოძიბა:
საქახთვაციოს
ჰახნიმენტი
საჯახო
ნიბეჩანის
ნიწალობებ

83. 33

ბინენსი
მობებინანი
ნიბეჩინი
"საქახთვაციოს
ფოსტისთვის"

83. 26

თვალსაზრისი
ღამოჯიღებანი
ჰხოფხავშიხების
ბნიშვნიციობა

83. 10


ISSN 1987-7528



9 771987 752008

ხა ბვიჯღებან ეხთი ღავუბახი?

83. 20



FM
სიმღერა
98.0





ლიბერალი

№ 90 / 22-28 სექტემბერი / 2011

მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმსრულებელი რედაქტორი

სოფო ბუკია

რედაქტორი: საზოგადოება

თამარ ბაბუაძე

რედაქტორი: რეპორაჟი

ეკა ფირცხალავა

ვიცეპრეზიდენტის რედაქტორი

ნანა საჯავია

ჟურნალისტიკა

მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ნინო რობაქიძე, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა

კონტრიბუციის

გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიანი, ნანა საჯავია, გიორგი მგელაძე, მაგდა მემანიშვილი, კახა თოლორაძე, ირაკლი ლომოური, თემო ბარძიმაშვილი

რედაქცია

ფოტო-რედაქტორი:

ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დიზაინი:

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი: პაატა შამუგია

კორექტორი: თამარ ღონღაძე

გამომცემლობა

დირექტორი:

ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და ბიზნესის

განვითარების მენეჯერი:

რუსუდან ბარათაშვილი

კლიენტთა მომსახურების და

დისტრიბუციის მენეჯერი:

ნათია რუსაძე

გაყიდვების მენეჯერები:

ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი,

ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან

მგერელიძე, ელენე ხარაზაშვილი,

მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ

ზანდარაშვილი, თინა ოსევაშვილი

დისტრიბუტორი: ზვიად შენგელია

www.liberali.ge



ვიდრე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რამე ახალი და შინაარსიანი მოხდება (შინაარსიანი ისევე დემოკრატიის ფუნდამენტური პრობლემებია ქვეყანაში, რაზეც „ლიბერალის“ ეს ნომერიც წერს) და „საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის“ აქტუალური კვლავ ლალი მოროშკინას ბენეფიციარის სიყვარულია, მივაშურე წიგნებს. დღევანდელ სვეტსაც პირობითად ქვია „რედაქტორის სვეტი“, რადგან გთავაზობთ ფრაგმენტს ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილიდან „ცოცხალი რამ ჩვენის ცხოვრების ავ-კარგისა“.

„... ნუ გგონიათ, ეს „ფიქრ მოსული“ და ეს „ფიქრ ჩაძახებული“, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ბრბო იყოს უსწავლელი, უმეცარი. არა, ისინი თავიანთ თავს „ინტელიგენციას“ ეძახიან. ესეა თქვენ იფიქრეთ, თქვენ თითონ ივარაუდეთ, რა აზრს შეიმუშავენ ამ გვარი ინტელიგენცია თავის ქვეყნის შესახებ, ან რა გზას აირჩევს საგალად? იმით ვერ მოვთხოვთ ვერაფერს პროგრამას მოქმედებისას, გარკვეულს შეთანხმებულს ჩვენის ცხოვრების საჭიროებასთან. ვერ მოვთხოვთ იმით აგრეთვე აზრს, იდეას მართლა ჩვენის ქვეყნის სასარგებლოს და გამოსადეგს, რადგანაც თუ რამ უსწავლიათ, უფრო სხვა ერთა ცხოვრებისა, ისტორიისა, ვიდრე თავისა. რა აზრი მოვთხოვება ამ გვარს ინტელიგენციას, როდესაც მან არ იცის წარსული თავის ერისა, არ იცის თვისება, ლტოლვილება იმის სულისა და გულისა – არ იცნობს მის გონებრივს აგებულებას, არ იცის საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მისი სოციალური ყოფა-მდგომარეობა?! ამიტომ უცხო ერთა ცხოვრებაზე დაწერილს აზრს, მაშასადამე, ჩაძახებულს ფიქრს იმეორებს... აზრებშიც გარჩევა როდი იცის: საპირადო, საოჯახო, კერძო აზრი საერო, საქვეყნო აზრად მიაჩნიათ. ქაიხოსროს მეცხვარე სჭირდება და უსათუოდ, მთელი საქართველოვ, უნდა თავსამტვრევად გაიხადო ეს საგანი – სესია ურჩევნია ქაიხოსროს მწყემსად თუ ბესია?! სხვა აზრი, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა ქვეყნისთვის... თუ ქვეყნისთვის ჰზრუნავ, თუ გინდა საქვეყნო საქმე აკეთო, შე კაი კაცო, უნდა თვით საგანი იყოს საქვეყნო; ქაიხოსრო ქვეყანა არ არის და არც სესია- ბესია წარმოადგენს საზოგადოებას; არც მწყემსობა ისეთი შესანიშნავი და საძნელო რამ, მთელმა ქვეყანამ იმაზე იფიქროს. სულ სხვა საქმეა, პრეზიდენტად რომელი აჯობებს, სესია თუ ბესია. პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინა გინდა არ გამოდგება, იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს; თუ ერთი მათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს კერაზე და არ ეჩხირობოდეს საქვეყნო საქმეში. ან კი ვინ ჩასჩხირავს? ვინ დააყენებს იმას ქვეყნის საქმეთა მმართველად და მესვეურად? თუ დააყენებ, ისევე ფიქრ მოსულნი, ფიქრ ჩაძახებულნი და არა საკუთარ ჭკუით მომქმედი ხალხის კრებულნი“.

შორენა შავერდაშვილი



საჩინვერო სვლინებეხი უსვლინი ჰოლისიხუხი ბახომოსთვის

19 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა განსახილველად ახალი დოკუმენტი – საარჩევნო კოდექსი შესატანი ცვლილებების პაკეტი მიიღო.

დოკუმენტში, რომელზეც მთელი გასული წლის განმავლობაში ხელისუფლება და ოპოზიცია ერთობლივად მუშაობდნენ, ოპოზიციის არცერთი პრინციპული მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული. თუ გასულ წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები (სუსტი პრეზიდენტი, ძლიერი მთავრობა) მიხედვით სააკაშვილს გავლენიან პრემიერ-მინისტრად დარჩენის შესაძლებლობას აძლევდა, წელს პარლამენტისთვის გადაგზავნილი ახალი საარჩევნო კოდექსი ამ შესაძლებლობას ბევრად უფრო რეალურსა და ადვილად მისაღწევს გახდის.

▶ მთავარი თემა
83.20

მომხიბვარე დახარჯი "საქართველოს ფოსტისთვის"

„საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 100%-იანი წილის მფლობელმა, ოფშორში, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა კომპანიამ „ლექსორ კაპიტალ კორპმა“ ლატარიის კომპანიის 70%-იანი წილი ეკონომიკის სამინისტროს აჩუქა. „უსასყიდლოდ და უპირობოდ“ აღნიშნულია ხელშეკრულებაში. კომპანია 5-წლიანი მართვის უფლებით „საქართველოს ფოსტას“ გადაეცა.



ბოლო 2 წლის მანძილზე სახელმწიფომ „საქართველოს ლატარიის კომპანიისგან“, რომლის მფლობელთა შორის დავით კეზერაშვილის ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანი ფიგურირებს, მონოპოლისტი შექმნა.

თუმცა, ერთ დღესაც მომგებიანი კომპანია სახელმწიფოს აჩუქეს. რასთან გვაქვს საქმე? რატომ უნდა ჩუქნიდეს ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია მომგებიან ბიზნეს სახელმწიფოს?

▶ გივი მგელაძე
83.26

საქართველოს პარლამენტი საჩინო ინსტიტუტის წინააღმდეგ


დღეს მოქმედი პარლამენტი 150 წევრისგან შედგება, თუმცა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ათზე მეტი დეპუტატი, პროტესტის ნიშნად, სხდომებს აღარ ესწრება. საკანონმდებლო საქმიანობაში რეალურად 138 დეპუტატი მონაწილეობს, რომელთაგან 127 მმართველი პარტიის წევრია. პოლიტიკურ ოპოზიციას კი — 19 დეპუტატი წარმოადგენს. უქმდება ძველი და მტკიცდება ახალი კანონები, მოქმედ საკანონმდებლო აქტებში შედის ცვლილებები და ეს ყველაფერი ხშირად ნახევრად ცარიელ სხდომათა დარბაზში სუსტი ოპოზიციური წინააღმდეგობის, ხშირად კი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ხდება.

▶ სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიება
83.33



ჰიოფხავშიჩაბის ხოლი და მისი დახვეცი ნეხიბი

„ორმოცამდე გაფიცული მუშა, რომლებიც ქარხანაში არსებულ ვითარებას კონსტიტუციით გარანტირებული გაფიცვით გამოხატავდა, პოლიციამ დაშალა... დაკავებულები იმავე ღამეს გაათავისუფლეს, თუმცა, როგორც ირკვევა, მათ სამუშაო ადგილებზე დაბრუნებას აიძულებდნენ. იმავე ღამეს გაფიცულებს სახლში დაუარეს და ასევე მუქარით აიძულეს სანარმოში დაბრუნება. პოლიციელებმა მუშებს კანონიერი გაფიცვის საშუალება არ მისცეს, ეს გაუგონარი ქმედებაა, როგორც თვითმხილველები ამბობენ, დაშლის დროს იქვე იყო იმერეთის გუბერნატორიც“.


 ნანა საჯაიას ინტერვიუ პაატა ბელთაძესთან 03.16

ფოტოხაზოხაზი

ოსტატთა მხარე



ფოტო: თეიმურაზ ბარძიმაშვილი

 თეიმურაზ ბარძიმაშვილის ფოტორეპორტაჟი 03.38-43

ამომცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ფლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა ამომცემელი:

„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

აქცეზა:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.



ფუნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

სსკვე ნომერები:

- 04 მოკლედ
- 06 რიცხვები, ციტატები
- 08 **ორი აზრი**
უნდა დაიდგას თუ არა პატრიარქის ძეგლი?
თვალსაზრისი
- 10 დამოუკიდებელი პროფკავშირების მნიშვნელობა
გიორგი ცხადაია
- 12 რუსეთ-საქართველოს ომის დამახინჯება
თომას დე ვალი
- 14 რა ბედი ელის ლეჩხუმს?
ირაკლი ლომოური
ინტერვიუ
- 16 პროფკავშირების როლი და მისი დაუცველი წევრები
პაატა ბელთაძე
მთავარი თემა
- 20 საარჩევნო ცვლილებები უცვლელი პოლიტიკური გარემოსთვის
ბიზნესი
- 26 მომგებიანი ლატარია „საქართველოს ფოსტისთვის“
ეკონომიკა
- 30 სტრატეგიული ობიექტები და გასხვისების სტრატეგია
ჟურნალისტური გამოძიება
- 33 საქართველოს პარლამენტი საჯარო ინტერესის წინააღმდეგ
ფოტორეპორტაჟი
- 38 ოსტატთა მხარე
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 44 ჰაერიო, ბიჭებო, ჰაერიო!!

ამერიკულ ჯარში გაუქმდა ღია ჰომოსექსუალობის აკრძალვის პოლიტიკა, რომელიც თითქმის 20 ათწლეულის განმავლობაში მოქმედებდა.



ამერიკულ ჯარში გაუქმდა ღია ჰომოსექსუალობის აკრძალვის პოლიტიკა, რომელიც თითქმის 20 ათწლეულის განმავლობაში მოქმედებდა. სამხედრო მოსამსახურეებს ჯარში თავიანთი ორიენტაციის ღიად გამოვლენის უკვე აღარ უნდა შეეშინდეთ. გასულ წელს ამერიკის კონგრესმა კანონის გაუქმებას ხმა მისცა და კანონის პრაქტიკაში დანერგვა უკვე რამდენიმე კვირაა დაიწყო. კანონი სახელწოდებით „Don't ask, don't tell“, ამერიკულ ჯარში კანონი კლინტონის ადმინისტრაციის დროს 1993 წელს მიიღეს. ამ პოლიტიკის მიხედვით, ჰომოსექსუალებს შეეძლოთ ამერიკულ არმიაში მსახურება, თუმცა მათ ღიად არ უნდა ელიარებინათ თავიანთი სექსუალური ორიენტაცია, მეთაურებს კი არ ჰქონდათ უფლება, ეკითხათ ამის შესახებ. ამ პოლიტიკის „გაუქმების დღე“ ჰომოსექსუალების გამარჯვების აღსანიშნავად მთელი ქვეყნის მასშტაბით მხარდამჭერი გამოსვლებით აღინიშნა. პენტაგონის პრესმდივანმა ჯორჯ ლითლმა რეპორტიორებს განუცხადა, რომ თავდაცვის დეპარტამენტი მზად იყო ამ ცვლილებისათვის. სამხედრო პერსონალის 97-მა პროცენტმა ახალ კანონთან შესაგუებლად მოსამზადებელი ტრენინგები გაიარა. შეიარაღებულ ძალებში რამდენიმე კვირის წინ უკვე დაიწყო ჰომოსექსუალი ახალწვეულების აპლიკაციების მიღება.

ბლობაჩი ანონიმის "სახიფათო ფაზა"

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით, გლობალურ ეკონომიკაში ახალი სახიფათო ეტაპი დაიწყო. შეერთებულ შტატებსა და ევროზონაში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა შესაძლოა, ორივე უკან, რეცესიის პროცესში დააბრუნოს. მსოფლიო სავალუტო ფონდის პროგნოზებით განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისთვის ზრდის პროცესი შესუსტდება. ფონდში ვარაუდობენ, რომ გლობალურად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2011 წელს 1,5 პროცენტს მიაღწევს. 2012 წელს კი – 4 პროცენტით შემცირდება, რასაც „ევროზონაში ფინანსურად მერყევი სივრცის ჩამოყალიბება განაპირობებს“. ევროპას ძალიან გაუჭირდება საბერძნეთისა და იტალიის კრიზისთან გამკლავება. ერთადერთი ქვეყანა, რომლის ეკონომიკაც 2011 წელს 2 პროცენტზე მეტით გაიზარდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, გერმანია იქნება. შეერთებულ შტატებში არსებული პრობლემების ერთ-ერთ მიზეზად სავალუტო ფონდი უმუშევრობას ასახელებს. ფონდის ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში უმუშევრობის დონე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდთან შედარებით საკმაოდ მცირეა, კრიზისის შემდეგ სამსახურის დაკარგვამ ბოლო ათწლეულში მაქსიმუმს მიაღწია. ამჟამად ამერიკის მოსახლეობის დაახლოებით 14 პროცენტია უმუშევარი.

იტალიის სახელმწიფო ხიზინი მუხარამი




საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Standard&Poor's-მა იტალიის საკრე-

დიტო რეიტინგი შეამცირა. სააგენტოს რეიტინგზე ვერ იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ იტალიის პარლამენტმა საბიუჯეტო დეფიციტის შესამცირებლად სამთავრობო გეგმა მოინონა. სააგენტოში აცხადებენ, რომ იტალიის საკრედიტო პრობლემებს მთავრობის მიერ მიღებული გეგმა ვერ უშველის. რეიტინგის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად Standard&Poor's-მა იტალიის ეკონომიკის სუსტი ზრდა და გადასახადების მომატება დაასახელა. დამატებითი ღირებულების გადასახადი იტალიაში უკვე ერთი პროცენტული პუნქტით გაიზარდა. კრიზისის გამო გადასახადების ზრდის პროცესი შესაძლოა ისევ გაგრძელდეს. სააგენტოში განაცხადეს, რომ საკრედიტო კრიზისის შესაძლოა პოლიტიკურმა გაუგებრობამაც შეუწყოს ხელი. იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის თქმით, იტალიის რეიტინგის შემცირება „პოლიტიკური მოსაზრებებით“ იყო განპირობებული. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო მედიაში თემის აგორებით და არა ეკონომიკური რეალობით. იტალიის მთავრობაში ბიუჯეტის დაბალანსებას 2013 წლისთვის გეგმავენ. თუმცა უკვე წელს ბიუჯეტის 0,3 პროცენტით შემცირებას ელოდებიან.

"იუკოსის" სანჯე უჩიოვაში

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ „იუკოსის“ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის მთავრობამ კომპანიის წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურები დაარღვია. სასამართლოს დასკვნაში წერია, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა უსამართლოდ მოიქცა, როდესაც ნავთობკომპანიის ხელმძღვანელობას საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევების გამო ჯარიმა დააკისრა. რუსეთის მთავრობამ „იუკოსის“ მმართველებს არ მისცა საკმარისი დრო, რომ კომპანიის ინტერესები სათანადოდ დაეცვათ. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მტკიცებულებები, რომ რუსულმა მთავრობამ „იუკოსის“ აქტივების მისათვისებლად განზრახ დაანგრია



ნავთობკომპანია.

კომპანიის აქციონერები ასევე ითხოვენ რუსეთის ხელისუფლებას მათთვის 98 მილიარდი დოლარი გადაეხადა. ევროპულმა სასამართლომ კი ამ სარჩელის განხილვა გადადო.

საპროტესტო აქცია ზაქარია

20 სექტემბერს უკრაინის პარლამენტის შენობასთან ათასობით ადამიანმა საპროტესტო აქცია გამართა. მათი უმრავლესობა 1986 წელს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე სამოქალაქო პირი იყო. აქციას ესწრებოდნენ სამხედრო ვეტერანებიც. დემონსტრანტები ჩერნობილისა და ავღანეთის ომის მონაწილე ვეტერანებისთვის გათვალისწინებული შეღავათების მოსალოდნელ შემცირებას აპროტესტებდნენ.

მომიტიინგებმა საკანონმდებლო ორგანოში შეჭრა სცადეს. შენობის დასაცავად ათასობით სპეცრაზმელის მობილიზება გახდა საჭირო. მათ აქციის დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. მომიტიინგებმა პარლამენტის გალავანი დააზიანეს. პარლამენტის წარმომადგენლებმა კი რამდენიმე მომიტიინგესთან შეხვედრის შემდეგ ამ კვირაში კანონპროექტის განხილვა გააუქმეს. მომიტიინგეები ითხოვენ, რომ დოკუმენტის ფორმულირება მათთან შეთანხმდეს.

თავდასხმა ავღანეთში

ავღანეთის უმაღლესი მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე ბურანუდინ რაბანი ტერორისტებმა მოკლეს. რაბანი ქაბულში საკუთარ სახლში იმყოფებოდა, როდესაც ბომბი აფეთქდა.


ოფიციალური პირების განცხადებით, აფეთქებისას რაბანი საკუთარ სახლში თალიბების ორ წევრს ხვდებოდა. გაურკვეველია, მონაწილეობდნენ თუ არა ეს პირები თავდასხმაში.

უმაღლესი მშვიდობის საბჭო ავღანეთში თალიბებთან მოლაპარაკებების პროცესს ხელმძღვანელობს. რაბანი ავღანეთის ყოფილი პრეზიდენტიცაა. ის ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ ძალას ხელმძღვანელობდა. დაუდასტურებელი წყაროების ცნობით, რაბანი თვითმკვლელი თავდასხმელების შეტევამ იმსხვერპლა.

როდესაც მშვიდობის საბჭო შეიქმნა, ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ მას „ავღანელი ხალხის იმედი“ უწოდა და თალიბებს მოუწოდა, გამოეყენებინათ ეს შესაძლებლობა და მშვიდობა დაემყარებინათ. თუმცა თალიბანთან დაპირისპირებული ძალები საბჭოს ეჭვის თვალით უყურებდნენ.

რაბანი ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობდა რელიგიური კონფერენციის ჩატარებაზე ირანში და მუსლიმ მეცნიერებს თვითმკვლელი თავდასხმელების წინააღმდეგ სასაუბროდ მოუწოდებდა.

შატაჯაბი ირანში

ბოლო კვირის მანძილზე იემენში უსაფრთხოების ძალებმა და მთავრობის მომხრე შეიარაღებულმა პირებმა 50-ზე მეტი მოქალაქე მოკლეს. 18 სექტემბერს იემენის დედაქალაქ სანააში უშიშროების ძალებმა ცეცხლი უდიდესი ანტისამთავრობო აქციის მონაწილეებს გაუხსნეს. შედეგად 26 დემონსტრანტი დაიღუპა, ათობით ადამიანი კი დაიჭრა. ბოლო თვეების განმავლობაში ეს აქცია ყველაზე ფართომასშტაბიანი იყო. დემონსტრანტები პრეზიდენტ ალი აბდულა სალემის ხელისუფლების გადადგომას ითხოვდნენ. ალი აბდულა სალემის წინააღმდეგ გამოსვლები იემენში 8 თვის წინ დაიწყო. პრეზიდენტი იენისში მოწყობილი თავდასხმის შედეგად დაიჭრა და ის ახლაც მეზობელ საუდის არაბეთში მკურნალობს. აბდულა სალემი 30 წელიწადზე მეტია იემენს მართავს. 



1 390 473 ლარი

დახარჯა ბათუმში ჩატარებული MTV-ს კონცერტისთვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ.

4 მილიონი რუბლი მოიგეს სამარაში მცხოვრებმა ქართველებმა ადგილობრივ ლატარიაში.

25 მილიონ დოლარს გადაუხდის კინოკომპანია Warner Bros. ცნობილ მსახიობ ჩარლი შინს კონტრაქტის განწყვეტისათვის.

100 ათას დოლარზე მეტი შემოსავლის მქონე ამერიკელებს გადასახადები გაეზრდებათ.

3 ტრილიონი დოლარით 10 წელიწადში უნდა შემცირდეს საბიუჯეტო დეფიციტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

6 კინემატოგრაფისტი დააკავეს ირანში

10 დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს ქუთაისის ქარხანა „შერკულესის“ 3 თანამშრომელს.

6,9-ს მიაღწია ინდოეთსა და ნეპალში მინისძვრის სიმძლავრემ.

1 მილიარდი დოლარის კრედიტს აძლევს ჩინეთი ბელარუსს.

10 მილიონ ევროს პაკისტანი ევროკავშირისგან წყალდიდობისას მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიიღებს.

13 ადამიანი დაიღუპა პაკისტანში 20 სექტემბერს მომხდარი აფეთქების შედეგად.

„ერთსქესიანი ქორწინება და ფინანსური მაქინაციები ერთნაირი დანაშაულია“.

სრულიად რუსეთის და მოსკოვის პატრიარქი კირილი გორონევის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას



„ის, რაც მოხდა, არ ყოფილა ძალადობა და არც კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ამას სასამართლოს განაჩენიც ადასტურებს. მომხდარი ჩემი მხრიდან გაუმართლებელი საქციელი იყო, ჩემი აზრით, ეს მორალური შეცდომაა, ძალიან ვნანობ ამას და ალბათ, ძალიან დიდხანს მექნება სინანულის გრძნობა“.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი პრეზიდენტი დომენიკ სტროს კანი მის ირგვლივ აგორებულ სკანდალზე, სექსუალური ძალადობის ბრალდების შესახებ



„ეს სექტემბერი შავი სექტემბერი გახდება. „შავი სექტემბერი“ არა ისრაელისათვის, არამედ „გაეროს“ გენერალური ასამბლეისათვის და ისრაელისა და პალესტინის ურთიერთობისათვის. მე აქ ვარ იმისათვის, რომ ვთქვა – ისრაელის გვერდის ავლის იდეა ილუზიებს ეფუძნება“.

ისრაელის ქნესეთის ხელმძღვანელი რეუვენ რივლინი პალესტინის მიერ იუდეის ტერიტორიის სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ



„სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოს მომავალშიც შეუძლია, რუსეთის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის საქმეში, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ინტერესების დაცვაში. დღეს სამხრეთ ოსეთის სუვერენული რესპუბლიკა თანმიმდევრულად ჭრის სახელისუფლებო სტრუქტურების გამყარების და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღდგენის ამოცანებს. დარწმუნებული ვარ, რომ ნოემბერში, საპრეზიდენტი არჩევნები გახდება დემოკრატიული მონაპოვრის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების გზაზე მომავალი წინსვლის დადასტურება“.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითის „რესპუბლიკის დღე“ ამ სიტყვებით მიულოცა. წერილი კრემლის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა.





პაატა შურაძის საავტორო სვეტი

კომენტი № 1 ანარქია

კანონმორჩილი ნონ კონ-ფორმისტები და ანარქისტები ხანდახან სათევზაოდ დადიან მდინარე „შარონზე“. რომელიც სასაფლაოების ქვეშ მიედინება... აქ ისინი მკვდრებს იჭერენ. რადგან მკვდრები ძალიან სასარგებლონი არიან. თუმცა არიან არა სასარგებლო მკვდრებიც. ილია ჭავჭავაძე, მაგალითად, სასარგებლო მკვდარია, დავით აღმაშენებელიც...
ერეკლე II – არა, არც ნოდარ დუმბაძე, არც ვახუშტი კოტეტიშვილი, ზურაბ შვანია, სანდრო გირგვლიანი... ომში დაღუპული საცოდავი ჯარისკაცებიც ძალიან სასარგებლონი არიან, ავღანეთში დაღუპულები, მით უმეტეს... მაგრამ მაინც, არასასარგებლო მკვდრები ბევრად უფრო მეტია და, სავარაუდოდ, უფრო მეტი იქნება მომავალში... ამიტომ ყოველი სასარგებლო მიცვალებულის ფასი კრიზისის მიუხედავად ყოველდღიურად მატულობს როგორც უძრავი ქონებისა ლონდონსა და პარიზში.




სიმონ ჯანაშიას საავტორო სვეტი საგანმანათლებლო გიუროკრატია მაღალი ტურპულენციის ზონაში

თუ გვსურს, რომ ჩვენმა განათლების სისტემამ „იფრინოს“, მისმა მგზავრებმა კი მივიღოთ მაღალი ხარისხის მომსახურება, მნიშვნელოვანია, მთელ სისტემაში პასუხისმგებლობები მაქსიმალურად ჰორიზონტალურად დელეგირდეს.
წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს ერთი უცნაური თვითმფრინავი, რომლითაც მგზავრობა შეგეძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებლად დააკმაყოფილებთ ასევე უცნაურ წინაპირობას: წინა ჯერზე უკვე უნდა იყოთ ნაფრენი იმ ავიაკომპანიით, რომელსაც ეს თვითმფრინავი ეკუთვნის. ავიაკომპანიის შეცვლა წელიწადში მხოლოდ ორჯერაა შესაძლებელი.

მანანა ვარლიაშვილი ღიღი შეთანხმება

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის 3-წლიანი დავა დასრულდა ზავით, რომლის დეტალებიც საზოგადოებისთვის უცნობი რჩება. ჩივილის შეწყვეტის სანაცვლოდ, პირველი, რასაც პატარკაციშვილები დაიბრუნებენ, რუსთავის მეტალურგიული ქარხანაა.



მულტიმედია რა ჯდება სასკოლო ნიბნების ყიდვა

ფორუმი
მიგაჩნიათ თუ არა, რომ პროფესიულ კავშირებს შესწევთ უნარი დაიცვან დასაქმებულების უფლებები?



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქანდაკების ავტორი ზურაბ ნერეთელია. ძეგლი მოსკოვიდან თბილისში უკვე ჩამოიტანეს. არც საპატრიარქოში და არც თბილისის მერიამი ძეგლის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ და არც ის იციან, სად უნდა დადგას ავტორმა პატრიარქის ძეგლი.

უნდა დაიდგას თუ ახა პატრიარქის ძეგლი?

ღიას

არა

ეპა, 38 წლის, ჟურნალისტი:

„მის ღვანლს მომავალში ისტორია შეაფასებს. მე ვფიქრობ, რომ ცოცხალ ადამიანებს ძეგლები არ უნდა დაუდგათ. თუმცა, ეს ადამიანი აუცილებლად იმსახურებს უფრო დიდ პატივს, ვიდრე ძეგლია. შესაძლოა, მომავალში წმინდა სინოდმა მისი წმინდანად შერაცხვის საკითხიც განიხილოს“.

ნანა, 62 წლის, ღიასასწავლის:

„მისი უწმინდესობის ძეგლის დადგმა მომავალში გადაწყდება. ვფიქრობ, რომ მან საკუთარ თავს ძეგლი უკვე დაუდგა: შეხედეთ წმინდა სამების ეკლესიას, რა წლებში და როგორი მზრუნველობით აშენდა. თუმცა, წლების შემდეგ, თუ ეკლესია გადაწყვეტს კათალიკოს-პატრიარქს ძეგლი დაუდგას, ცუდი ნამდვილად არ იქნება. ვინ გეგულებათ სხვა ადამიანი, ვისაც შეიძლება პატივი ასე მიაგონ: გაძარცვული ტაძრები განაახლა, ერი სარწმუნოებისკენ შემოაბრუნა. თითოეული ქართველი მისი მაღლიერი უნდა იყოს“.

ზურა, 32 წლის, პეიმი:

„რატომაც არა. ბევრი გეგულებათ ისეთი ადამიანი, ვისაც მაღლიერმა ხალხმა შეიძლება ძეგლი დაუდგას?! ძეგლის დადგმაში რა იგულისხმება – მაღლობის თქმა ადამიანისთვის. შესაბამისად, არ არის აუცილებელი, ადამიანს მაღლობა მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ უთხრა. სიცოცხლეშივე სჯობს დააფასო. მაგრამ არის ერთი „მაგრამ“ – წინასწარ ვიცი, უვიცი საზოგადოებისთვის ეს თემა როგორი კუთხითაც „აგორდება“.

სალომე, 21 წლის, სტუდენტი

„კარგი იქნებოდა პატრიარქის ძეგლი, სანინალმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი ადამიანების ადგილი ხატებსა და ფრესკებზეა. ძეგლი, ჩემი აზრით, გაცილებით გაასადავებს იმ ღვანლს, რაც მის უწმინდესობას აქვს. პატრიარქი ისედაც თავის სიმაღლეზე დგას და მგონი ძეგლი არ სჭირდება“.

ლანა, 20 წლის, სტუდენტი:

საქართველოს პატრიარქი ძეგლს ნამდვილად იმსახურებს, მაგრამ ჩემი აზრით, ცოცხალი ადამიანისთვის ძეგლის დადგმას პატრიარქი თვითონვე შეეწინააღმდეგება. თუ აუცილებელია დადგმა, ვისურვებდი, რომ სამების ეზოში დადგან — მისი უპირველესი ამშენებელი პატრიარქია, ის მისი მოღვაწეობის გვირგვინია და კარგი იქნებოდა, რომ მომლოცველს თუ ტურისტს სწორედ ამ დიდებული ტაძრის ეზოში ენახა პატრიარქის ძეგლი“.

ნინო, 27 წლის, სოციოლოგი:

„ეს ფაქტი თავად საპატრიარქოს შეუქმნის უხერხულობას და თავისმართლების პოზიციაში ჩააყენებს პატრიარქს. საქართველოში ამ დრომდე არ დადგმულა პატრიარქის ძეგლი და მგონი სხვა პატრიარქებს არანაკლები დამსახურება აქვთ ქვეყნის წინაშე. გამორჩეულობის საფუძველს ვერ ვხედავ და მექმნება განცდა, რომ ძეგლის დადგმა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ დაპირისპირებას უკავშირდება, სადაც ეკლესია ცდილობს, საკუთარი გავლენა აგრძნობინოს საერო ხელისუფლებას“.

გიორგი, 25 წლის, დოქტორანტი:

„როგორც გავიგე, ძეგლი ზურაბ ნერეთელს გაუკეთებია. ლუწკოვის გადაყენების შემდეგ „მამა-მარჩენალი“ დაკარგა, ახლა კი საქართველოში ცდილობს მთავრობას და ეკლესიას მიეტმასნოს. „თბილისობაზე“ „მიმინოს“ ძეგლი იხსნება თურმე „ავლანის“ მეტროს წინ. ვის სჭირდება ან ერთი ან მეორე, თვითონ ვერ ხვდება იმას, რომ უხერხულობას ქმნის ყველასთვის თუ შეგნებულად აკეთებს ამას? მგონი, არც ეკლესიაში მიესალმებიან ასეთ რაღაცას, „მიმინოთი“ საბჭოთა ნოსტალგიის გაღვიძება უნდა? ეს ძეგლები ერთ დიდ პავილიონში დაიდგას და თვითონ უყუროს“.

იონა, 20 წლის, სტუდენტი:

„ძეგლის დადგმა არანაირად არაა მისაღები: არც სიცოცხლეში, არც მერე. მე არ ვთვლი, რომ ილია მეორეს იმხელა დამსახურება აქვს, რომ ძეგლი დაუდგან და საერთოდ, პატრიარქის ასე გაიდევალება რაღაც სექტანტობას უფრო ჰგავს“.

მისაილი, 26 წლის, არქიტექტორი:


„პირველად გავიგე... კერპთაყვანისმცემლობის მორიგი გამოვლინებაა, ჩემი აზრით, რაღაც დრო უნდა გავიდეს, რომ ღვანლი და დამსახურება ობიექტურად შეფასდეს, და მერე იმის მიხედვით განისაზღვროს, ღირსია თუ არა, მაგრამ დღეს პატრიარქი ლამის ღმერთის დონემდე აიყვანეს და არცაა გასაკვირი, რომ ეს ძეგლი შეიქმნა და საზოგადოებაში მის დადგმაზე საუბრობენ“.

გიორგი, 20 წლის, სტუდენტი:

„არამგონია, რომ ძეგლი დაიდგას, იმიტომ რომ მართლმადიდებლურად მიუღებელია, თუ არ ვცდები. პირველ რიგში პატრიარქის ნებაა დაუდგამენ თუ არა მას ძეგლს, ხოლო ჩემს აზრს რაც შეეხება, ნეიტრალურ პოზიციაში ვიკავებ“.

ღამოუხილავი პროფხავშიხების მნიშვნელობა

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის
პოლიტიკური
მეცნიერების
მაგისტრანტი



რაზე უნდა დაგვაფიქროს „ჰერკულესის“ მუშების გაფიცვამ

13 სექტემბერს ქუთაისის მეტალურგიული ქარხნის – „ჰერკულესის“ – 100-მდე მუშა გაიფიცა. მუშები აპროტესტებდნენ ხელფასების დაგვიანებით გაცემას, პროფკავშირების წევრობის გამო 17 მუშის გათავისუფლებას და მოითხოვდნენ ჩაფხუტებითა და დამცავი ტანსაცმლით უზრუნველყოფას. მეტალურგიული ქარხნის ამჟამინდელი მფლობელი ინდოელი ინვესტორია. ხელისუფლებამ გაფიცული მუშების მოთხოვნებს თავისებურად უპასუხა – მიტინგი დაარბია და მუშებს ხელნერილი დაანერინა, რომ მომავალში პროტესტს აღარ გამოთქვამენ.

ამ დაპირისპირებაში ორივე მხარეს – ხელისუფლებას და პროფკავშირებს – თავიანთი არგუმენტები და ინტერესები აქვთ. პროფკავშირების არგუმენტი ისედაც ყველასთვის ცხადია: ხელისუფლებამ დაარღვია გაფიცვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება და შელახა მუშების ინტერესები, მუშებს გაუჭირდებათ თავი დაიცვან დამსაქმებლებისგან და შესაძლოა, მათ ჯანმრთელობას საფრთხეც შეექმნას. ხელისუფლების არგუმენტაცია ბევრისთვის ასეთივე ცხადი არ არის, როგორც პროფკავშირების. არადა, ამ დაპირისპირებაში ხელისუფლებასაც, ერთი შეხედვით, იდეალისტური მიზნები ამოძრავებს. პირველ რიგში, ხელისუფლების ტაქტიკის მიზეზებსა და შინაარსზე ვისაუბრებ და შემდეგ შეცდომებზე გავამახვილებ ყურადღებას.

დასავლეთის ქვეყნებში მუშებმა ადეკვატური ანაზღაურების მიღებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ორსაუკუნოვანი მუდმივი ბრძოლის შედეგად მიაღწიეს. სამწუხაროდ, თვით განვითარებულ ქვეყნებშიც კი ამ ბრძოლის მნიშვნელოვანი მონაპოვარი გლობალი-

ზაციის შედეგად საფრთხის ქვეშ დგება. მაგალითად, ამერიკაში, ვისკონსინის საჯარო მოსამსახურეებს უკვე ჩამოართვეს კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებები და სხვა შტატებიც იმავე ნაბიჯების გადადგმას აპირებდნენ, მასობრივი დემონსტრაციების რომ არ შეშინებოდათ.

რატომ უქმნის საფრთხეს გლობალიზაცია მუშების უფლებებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში? საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთ აზიის უზარმაზარი ბაზრების გახსნამ მსხვილ კორპორაციებს საშუალება მისცა, თავიანთი წარმოებები განვითარებად (უმთავრესად, ავტორიტარულ) ქვეყნებში გადაიტანონ და იაფი მუშახელის ხარჯზე დიდი მოგება ნახონ.

დღემდე სკანდალურ შემთხვევებად ითვლება ტანსაცმლის მსხვილი მწარმოებლების მიერ ინდოეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში გახსნილი არაპუმანური სამუშაო პირობების მქონე ფაბრიკები, რომლებსაც ინგლისურად „ოფლის ფაბრიკებს“ („sweatshops“) უწოდებენ. მიუხედავად ადამიანის უფლებების დამცველთა პროტესტისა, ასეთი ფაბრიკა-ქარხნები მაინც აგრძელებენ არაადამიანურ პირობებში მუშების ექსპლუატაციას, ქვეყნის მთავრობები კი უცხოური ინვესტიციების დაკარგვის შიშით, მათთვის რეგულაციების დაწესებას თავს არიდებენ.

საბედნიეროდ, ბოლო დროს, მუშებმა სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებშიც დაიწყეს გამოღვიძება და არაადამიანური სამუშაო პირობების გაპროტესტება. მაგალითად, გასულ ზაფხულს, ჩინეთის ინდუსტრიულ სამხრეთ ნაწილში, მუშებმა მასობრივი პროტესტი გამოთქვეს, რაზეც დამსაქმებლებმა დარბევის ნაცვლად, ხელფასების გაზრდითა

და სამუშაო პირობების გაუმჯობესებით უპასუხეს. ეს ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა მთელ სამხრეთ ჩინეთის რეგიონში და სამუშაო პირობების გაუმჯობესება სხვა ქარხნების მუშებმაც მოითხოვეს. საბოლოოდ, შეტაკება პოლიციელებსა და მუშებს შორის მაინც გარდაუვალი გახდა.

ჩინეთის ავტორიტარულმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც სახელწოდების მიუხედავად, დღეს მსხვილი კორპორაციების მხარეს დგას, პრობლემა დარბევებით მაინც ვერ მოაგვარა. დღეს, როდესაც მომავალ რევოლუციებსა და არეულობებზე საუბრობენ, პოლიტიკის ექსპერტები ყველაზე ხშირად ჩინეთს ახსენებენ, როგორც არეულობის ერთ-ერთ პოტენციურ კერას.

ამ მიმდინარე მოვლენებისა და ტენდენციების მიუხედავად, ჯერ კიდევ შორს არის ის მდგომარეობა, როდესაც მუშები მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით, აზიის უზარმაზარ ბაზრებზე სამუშაო პირობების გაუმჯობესებას მასობრივად მოითხოვენ. ამ ფონზე, საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებს ინვესტორებისთვის კოჭის გაგორება უწევთ. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებაც მიიჩნევს, რომ ქვეყნის საინვესტიციო კლიმატს უფრო მიმზიდველს ხდის და ამისათვის პროფკავშირებს ავიწროებს.

არავინ იცის, რა მოხდება მომავალში და როგორ შეიცვლება მსოფლიოს მუშათა ბაზარი, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არასწორად იქცევა, როდესაც მუშებისა და კორპორაციების დაპირისპირებაში, ამ უკანასკნელთა მხარეს იკავებს. თუ ამან სისტემატური ხასიათი მიიღო, ქვეყანა ინვესტორებისთვის კი-

დევ უფრო ნაკლებად მიმზიდველი გახდება.

საქმე ის არის, რომ ინვესტორებს, პირველ რიგში, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა აინტერესებთ. დაბალი გადასახადები და ყველა სხვა მოთხოვნა მეორე პლანზე ინაცვლებს. საქართველო, სამწუხაროდ, 2007 წლის 7 ნოემბრის და 2008 წლის 8 აგვისტოს შემდეგ ამ მთავარ მოთხოვნას უფრო და უფრო ნაკლებად აკმაყოფილებს.

თუ ხელისუფლებას მართლა სურს, რომ ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი გაუმჯობესდეს, მან პროფკავშირების არათუ დასუსტებას, არამედ გაძლიერებას უნდა შეუწყოს ხელი. ძლიერ პროფკავშირებს შეეძლება მუშების ინტერესების დაცვა, გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა და საჭიროების შემთხვევაში, მუშების სახელით დათმობებზე წასვლა ისე, რომ მუშების ყველაზე ფუნდამენტური ინტერესები არ დააზარალოს.

შესაბამისად, მსხვილ ინვესტორებთან მოლაპარაკებების დროს აუცილებელია, რომ მესამე მხარედ პროფკავშირები ჩაერთოს. თუ ინვესტორების მოსაზიდად გარკვეულ დათმობებზე წასვლაა საჭირო, ეს თავად პროფკავშირებმა უნდა გააკეთოს. თუ პროფკავშირი ამგვარ დათმობაზე არ წავა, მაშინ ისეთი ინვესტიციები აღარ გვჭირდება, რომლებიც ქვეყანაში სამიშ პოლიტიკურ კლიმატს შექმნის.

ერთი სიტყვით, მთავრობა უნდა ეცადოს, რომ შუალედური ვარიანტი გამოძებნოს – არც მოუქნელი რეგულაციებით გადატვირთოს ბაზარი და არც არაჰუმანური პირობების შექმნის უფლება მისცეს ინვესტორებს.

რა შეიძლება იყოს ის კონკრეტული თემები, რაზეც პროფკავშირები, სახელმწიფო და უცხოელი ინვესტორები მოლაპარაკებას შეძლებენ?

პირველ რიგში, სახელმწიფო და პროფკავშირები უნდა დაფიქრდნენ იმაზე,

თუ რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის: ხალხის დასაქმება თუ მაღალი ხელფასები? სამწუხაროდ, ხშირად ორივეს ერთად განხორციელება შეუძლებელია, ამიტომ, ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ. შესაძლოა, პირველ ჯერზე, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს იმას, რომ მოქალაქეების რალაც ნაწილი, მართალია, მცირე ხელფასზე, მაგრამ მაინც დასაქმებული იყოს და მომავალი წინსვლის პერსპექტივა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, ხელფასის გაზრდის მოთხოვნას დროებით შესაძლოა სამუშაო ადგილის შენარჩუნების პირობა შეენაცვლოს.

ისეთ დარგებში, სადაც კვალიფიციური მუშახელის დეფიციტია, სახელმწიფო უნდა ცდილობდეს, ინვესტორებთან ერთად მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებას შეუწყოს ხელი. ამ გზით, ის დასაქმების პრობლემის გადანყვეტაში დამატებით წვლილს შეიტანს.

სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს განსაკუთრებით სამიშ პირობებში მომუშავე მუშების ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოების გარანტიების შემოღება. ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნა ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული საკითხია, რადგან სხვა შემთხვევაში, ყველა სხვა სოციალურ ძალისხმევას აზრი ეკარგება. ჩვენი მთავარი მიზანი ხალხის კეთილდღეობაა. ეს კი, პირველ რიგში, სახალხო ჯანდაცვას უკავშირდება.

ამ და სხვა საკითხებზე კამათი შეიძლება. ერთადერთი რაზეც, წესით და რიგით, ყველანი უნდა ვთანხმდებოდეთ, ის არის, რომ პოლიტიკური გადანყვეტილების მიღების დროს, მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესები ადეკვატურად უნდა იყოს წარმოდგენილი. ამჟამად, საქართველოს ხელისუფლება ერიდება დამოუკიდებელი ძალაუფლების ცენტრების – მათ შორის, პროფკავშირების გაძლიერებას, რადგან ეს, მისი წარმოდგენით, მმართველი პარტიის ძალაუფლებას შეასუსტებს. სინამდვილეში, დღეს როგორც არასდროს, ისე გვჭირდება მთელ რიგ საკითხებზე პოლიტიკური და სოციალური კონსენსუსის მიღწევა და პოლიტიკური სტაბილურობის უფრო მყარი გარანტიების შექმნა. **□**



ამავე დროს, პროფკავშირები უნდა იყოს ხელისუფლებისგან რეალურად დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მუშების ინტერესებს ნამდვილად წარმოაჩენს და მის საქმიანობაში ეჭვი არავის შეეპარება. სხვა შემთხვევაში, მუშები პროფკავშირების თხოვნას არ გაითვალისწინებენ და ისევ არასტაბილურ გარემოს მივიღებთ.

ამავე თემაზე ვებზე

ნიშნო რობაძის კავშირი კავშირისთვის

www.liberali.ge

ჩვენ-საქართველოს ომის დახინჯება

თომას დე ვალი
კავკასიის მკვლევარი,
კარნეგის ცენტრი,
ვაშინგტონი



რუსეთ-საქართველოს ომი სამხრეთ ოსეთისთვის სულ რაღაც სამი წლის წინ მოხდა, მაგრამ ის უკვე ისევე მითოლოგიზირებულია, როგორც ტროას ომი. მითოლოგიური თხრობა ბუნდოვანს ხდის რეალურ სურათს. ეს კი ორივე მხარისთვის ცუდია, რადგან როდესაც ისტორიის ბორბალი კიდევ ერთხელ დატრიალდება და ქართველებსა და ოსებს დაახლოების შანსს მისცემს, ამ შესაძლებლობის გამოყენება ორივე მხარეს გაუჭირდება.

სიტუაცია ყოველთვის იხლართება. მე არ ველოდი იმას, რომ დიკ ჩეინის მემუარებში „In My Time“ ამ კონფლიქტთან დაკავშირებული ნაამბობი დაბალანსებული იქნებოდა.

მეტნაკლებად გასაგებია, როდესაც ის წერს, რომ რუსებისთვის „თავისუფლების პროგრამის“ დაძალება სავალდებულოა: „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მკაფიოდ უნდა ვაგრძნობინოთ რუსებს, ჩვენს მეგობრებს და მოკავშირეებს, რომ ჩვენ აგრესიულნი ვიქნებით თავისუფალი სამყაროს საზღვრების გაფართოების საქმეში და რომ რუსეთის მთავრობამ არჩევანი უნდა გააკეთოს“.

თუმცა, ნამდვილად მქონდა მოლოდინი, რომ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ტექსტებში ფაქტებს პროფესიონალები ამოწმებდნენ. ჩეინი წერს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „ბევრი რუსი ცხოვრობს“. არ არის ასე: ესენი აფხაზები და ოსები არიან, რომლებმაც რუსული პასპორტები აიღეს. ის აცხადებს ასევე, რომ „[2008 წლის] აგვისტოში, სამხრეთ ოსეთის ძალებმა რუსი მეთაურების ხელმძღვანელობით, ცეცხლი გაუხსნეს სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებს“. ესეც არასწორია: სოფლები ქართულ და ოსურ სოფლებს შორის მიმდინარეობდა, მაგრამ რუსი მშვიდობისმყოფელები ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ მანამ, სანამ 8 აგვის-

ტოს ქართული შეტევა არ დაიწყო. რუსეთის მხრიდან ბოლო ომის შემდგომი ზალპი სახელმწიფო კინოფონდიდან გაისმა, რომელმაც განაცხადა, რომ 250 მილიონ რუბლს (დაახლოებით 9 მილიონი დოლარი) ხარჯავს ახალი

რუსულ-ქართული

კინოვერსიები

უდაოდ კარგი მასალა

გახდებოდა დოქტორანტი

კულტუროლოგისთვის. ჩვენ კი

ისევე ველოდებით აგვისტოს

ომის ობიექტურ პოლიტიკურ

შეფასებას.

მძაფრსიუჟეტისანი ფილმის „აგვისტო 08“-ის გადაღებაზე.

ეს ამკარად იმ პოლიუფდურ კინოვერსიაზე პასუხია, რომელიც ამ კონფლიქტზე რენი ჰარლინმა (ის დიდნილად ცნობილია, როგორც „კერკეტი კაკალი 2“-ის რეჟისორი) გადაიღო და რომლის პრემიერაც გასულ თვეში ვაშინგტონში, ძალიან პატარა აუდიტო-

რიის წინაშე გაიმართა. პროფესიული მიზეზების გამო მე მას დავესწარი და უნდა დაგიდასტუროთ, რომ ის მართლაც ისეთი ცუდია, როგორც გსმენიათ. ფილმი ყუმბარების, აფეთქებული ავტომანქანების, ლამაზი ქართული პეიზაჟების, ყალბი აქცენტების (თუმცა ენდი გარსია დამაჯერებელია მიხეილ სააკაშვილის როლში) და სინამდვილის სასტიკი დამახინჯების კომბინაციაა. სცენაში, რომელშიც რუსული ბომბდამშენები შეგნებულად გადააქცევენ ქართულ ქორწილს ზეიმიდან სისხლიან ხოცვა-ჟლეტად, ე.წ. „ბოვიკებისთვის“ დამახასიათებელი სისხლიანი სცენები ქართული ფოლკლორული მუსიკის ფონზე მიმდინარეობს.

ქართული ფულით გადაღებული ჰარლინის ფილმის ვერსია ასეთია: რუსეთი საქართველოში შეიჭრა, დასავლეთში კი ეს ვერავენ შეამჩნია. მამაცი ჟურნალისტი და ლამაზი ქართველი გოგონა მთელი ფილმის განმავლობაში ცდილობენ რუსი მკვლელებისგან თავის დაღწევას, რათა როგორმე მიაწოდონ მსოფლიოს ის ძვირფასი კადრები, რომლებზეც ქორწილში მონყობილი ხოცვა-ჟლეტაა ასახული. ყველაზე თავხედური გზავნილი აქ ის არის, რომ დასავლური პრესა, თითქოს, დაინტერესებული იყო მოვლენების მხოლოდ რუსული



ვერსიის გაშუქებაში. ჩვენ ვხედავთ, რომ კონფლიქტის მიმდინარეობას მხოლოდ ხუთი დასავლელი ჟურნალისტი აშუქებს, ხოლო როდესაც ამ აურზაურისგან შელახული ჩვენი გმირი, ბოლოს და ბოლოს, თავის პროდიუსერთან დარეკვას ახერხებს, ეს უკანასკნელი მას ეუბნება, რომ მასალა საინტერესო არ არის (ამ ფონზე ისმის პუტინის ხმა, რომელიც CNN-ს ინტერვიუს აძლევს). არცერთი სიტყვა ჯონ მაკეინსა და მის ცნობილ ფრაზაზე „ჩვენ ყველანი ქართველები ვართ“, და დასავლური მედიის უმრავლესობაში ქართველების მასობრივ მხარდაჭერაზე. უცნაურია, რომ Human Rights Watch-ს არ გაუპროტესტებია ის, თუ როგორ გამოიყენეს მათი ციტატები, როგორც წყარო რეალობის ძალიან სუბიექტური ინტერპრეტაციისთვის.

ამ პოლიფუნქციური შედეგის ნახვის შემდეგ, ინტერნეტში თვალი გადავაფიქრებო, ინტერნეტში თვალი გადავაფიქრებო, ინტერნეტში თვალი გადავაფიქრებო, ინტერნეტში თვალი გადავაფიქრებო. უცნაურია, რომ ამ ფილმის სიუჟეტი „ავისტოს ხუთი დღის“ ანალოგიურია, ოღონდ სარკისებურად ასახული. ამერი-

კელი ენტომოლოგი (შტრიხი, რომელიც შედარებით ორიგინალურია) სამხრეთ ოსეთში მიემგზავრება, სადაც იშვიათი ჯიშის პეპელა უნდა გადაიღოს, მაგრამ ამის ნაცვლად მისი კამერა აღბეჭდავს ამერიკელების მხარდაჭერით ქართველების ცხინვალში შეჭრის კადრებს. არადა, მთელი მსოფლიო დარწმუნებულია, რომ ომი რუსეთმა დაიწყო! მას და მის ამერიკელ მეგობარ გოგონას, ჟურნალისტს, მსოფლიოსთვის სიმართლის თქმა უნდათ. ისინი მთელი ფილმის განმავლობაში გაურბიან ველურ ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც მშვიდობიან ოსებს ხოცავენ და ჩანანერის გადარჩენას ცდილობენ.

მსგავსება გამაოგნებელია, ბოროტების პერსონიფიკაციის ჩათვლით, რომელიც ერთგან სადისტი რუსი, მეორეგან კი ქართველი ჯარისკაცია. საინტერესოა, რომ რუსულ ფილმშიც მსოფლიოს სიმართლეს ამერიკელი აგებინებს, იმ ფონზეც კი, რომ მთლიანობაში ამერიკელები წარმოჩენილი არიან იმ ერად, რომელიც რუსეთთან ომს გეგმავს.

არცერთი ფილმი ოდნავადაც კი არ გადმოსცემს იმ რთულ ნიუანსებს,

ამავე თემაზე ვებზე

თოვანს და ვაალის თვალსაზრისი

ბომბები

ცხინვალის თავზე

www.liberali.ge

რომლისგანაც ეს კონფლიქტი შედგება, რომლის დროსაც, როგორც უკვე ვიცით, პირველებმა შეტევა ქართველებმა დაიწყეს, რასაც რუსეთის სასტიკი საპასუხო დარტყმა მოჰყვა.

რეალობის ამსახველი კონკურენტი კინოვერსიები უდავოდ კარგი მასალა გახდებოდა დოქტორანტი კულტუროლოგისთვის. ჩვენ კი ძველებურად ველოდებით იმას, თუ როდის გაჩნდება 2008 წლის ავისტოს მოვლენების ისეთი ვერსია, რომელიც ობიექტურად შეაფასებს პოლიტიკურ რეალიებს, იმას, თუ რა მოხდა სინამდვილეში და პატივს მიაგებს კონფლიქტის ორივე მხარის მსხვერპლთა ხსოვნას. **■**

თარგმანი foreignpress.ge

ხა ბედი ელის ლეჩხუმს?

ირაკლი ლომოური
მწერალი



რამდენიმე სიტყვა თურქების მიერ რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მოსალოდნელი მშენებლობის შესახებ.

ამერიკელი მწერალი ჩარლზ ბუკოვსკი წერს: „ინტელექტუალებისა და მწერლების მთელი უბედურება ისაა, რომ საკუთარი კომფორტისა და საკუთარი ტკივილის გარდა ვერაფერს გრძნობენ, რაც, კაცმა რომ თქვას, ნორმალურია, თუმცა კი – ამაზრზე-ნი“.

სად ლეჩხუმი და სად ბუკოვსკი? – შეიძლება იკითხოთ. წერილი ასე იმიტომ დავინწყე, რომ მსურს ავხსნა, საერთოდ რა მანერინებს ამ ტექსტს. არც გარემოს დამცველი ვარ, არც ექსპერტი, არც ჟურნალისტი, არც პოლიტიკოსი და ლეჩხუმელიც კი არა ვარ წარმოშობით – ერთი რიგითი ქართლელი ლიტერატორი გახლავარ – და, წესით, ამ საკითხზე ხმას არ უნდა ვიღებდე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლეჩხუმი ჩემმა ცხოვრებულმა მეგობარმა, არქეოლოგმა გურამ გაბიძაშვილმა შემაყვარა და ახლა უკვე აღარ შემიძლია ჩუმად ყოფნა, რადგან ვიცი – ლეჩხუმს საფრთხე ემუქრება. რამდენად სერიოზულია ეს საფრთხე, რამდენად გამართლებულია თუ, საერთოდაც, რამდენად დასაშვებია ხსენებული კასკადის აგება, სპეციალისტებმა უნდა განსაზღვრონ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ სრულყოფილი ექსპერტიზა არ ჩატარებულა, ამის გარეშე კი მშენებლობის დაწყება არ შეიძლება (არადა, როგორც ჩანს, აპირებენ – თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება, რამდენადაც ვიცი, დეკემბერში უნდა მიიღონ).

ჩემი ეს განცხადება ლიტონ სიტყვად და ცარიელ ემოციად რომ არ დარჩეს, ჩემს ხელთ არსებულ ორ დოკუმენტს მოვიშველიებ: „ნამოხვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი“ – გარემოზე ზემოქმედების შეფასება. კულტურული მემკვიდრეობა: არქიტექტურა, არქეოლოგია და კულტურული ლანდშაფტი“ (შეადგინეს ხელოვნ-

ბათმცოდნეებმა: მანანა სურამელაშვილმა, ციცირო ჩაჩხუნაშვილმა და არქეოლოგმა გურამ გაბიძაშვილმა) და „განცხადება ნამოხვანის ჰესების კასკადის მშენებლობის თაობაზე“ (შეადგინა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“).

ოღონდ სანამ საქმეზე გადავიდოდე, თვით ლეჩხუმის შესახებ მოგახსენებთ ძალიან მოკლედ (ცნობისათვის): ლეჩხუმი საქართველოს ისტორიული მხარეა, მდებარეობს დასავლეთ კავკასიონზე, ცხენისწყალსა და რიონის შუა წელზე. რიონის ხეობის ნაწილი სოფელ ტვიშიდან მარცხენა

■ ბუნების დამცველები მოითხოვენ, ყველა გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ასპექტის გათვალისწინებით შეისწავლონ და დაასაბუთონ ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტის განხორციელების საჭიროება.

შენაკად ლეხიდან, ქვემო ლეჩხუმად – კლდედაღმართად იწოდება.

ლეჩხუმი კოლხური კულტურის ჩრდილო რაიონების მეტალურგიულ ცენტრად არის მიჩნეული.

X-XI საუკუნეებიდან მოყოლებული, ლეჩხუმი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაშია (შემდეგ – იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში). მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლებია: გონის წმ. გიორგი (Xს), ლაბჭინის მთავარანგელოზი (XIIIს), დერჩის ნათლისმცემელი (XIVს), თა-

ბორის ეკლესია (XIII-XIVს).

ლეჩხუმის განსაკუთრებული ღირსშესანიშნაობა ცხენისწყლისა და რიონის ხეობებს შორის განოლილი ხვამლის მთა (ზღვის დონიდან 2002მ). ბატონიშვილი ვახუშტის გადმოცემით, ხვამლის კლდეში „არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრის შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები“. 2007 წლიდან ხვამლს იკვლევდა არქეოლოგიური ექსპედიცია გურამ გაბიძაშვილის ხელმძღვანელობით.

თუკი რიონზე ზემოხსენებული კასკადი მართლაც აშენდა, მთლიანად ან ნაწილობრივ დაიტბორება 14 სოფელი (არადა, იმ თურქულმა კომპანიამ, რომელმაც მილიარდ დოლარამდე გამოყო ამ პროექტზე, თვით თურქეთში ჰიდროელექტროსადგური ვერ ააშენა, რადგან ორი სოფელი იტბორებოდა და მოსახლეობამ ხმა ამოიღო).

ოფიციალური შეთანხმებით, ჰესებისგან მიღებული ელექტროენერგიით მომდევნო ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ თურქეთი ისარგებლებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შეფასებაში ვკითხულობთ: „საპროექტო არეალში არსებული არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები არ არის სათანადოდ შესწავლილი. ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული ძეგლების ინვენტარიზაცია, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებშია შესრულებული, არასრულია. მის მიხედვით, საპროექტო არეალში მხოლოდ 7 ძეგლია აღრიცხული. 2010 წელს ივნისის დასასრულსა და ივლისის დასაწყისში შპს „გეოგრაფიკი“-ს დაკვეთით ჩატარებულმა სავლედ დაზვერვამ გაცილებით მეტი რაოდენობის არქიტექტურული ნაგებობა გამოავლინა, რომელიც იმსახურებს ძეგლის სტატუსს... დაზუსტდა დატბორვის ზონაში არსებული 17 ნაგებობა, რომელსაც

რეკომენდაცია ეძლევა არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად“.

რაც შეეხება არქეოლოგიას – მოცემულია მინის ქვეშ არსებული, აღმოჩენილი, მაგრამ ჯერ შეუსწავლელი, 23 ძეგლის სია.

როგორც სოსო ბანძელაძემ, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ცენტრის რესტავრაციის დეპარტამენტის უფროსმა, კერძო საუბარში მითხრა, ამ „შეფასებიდან“, რომელიც პროექტს ერთვის, ხსენებული სია გამქარაღია – როდესაც ამ საკითხით დაინტერესდნენ, შემდეგი პასუხი მიიღეს: „აღბათ, თურქებმა ამოიღესო“ (!).

დასკვნა თქვენთვის მოგინდია.

ქართველ გარემოსდამცველთა განცხადებაში პირდაპირაა ნათქვამი, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, „კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხის – ლეჩხუმის არსებობის საკითხი“.

განსახილველად წარმოდგენილი „გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების“ (გსზმ) ანგარიშის პროექტი არ იძლევა საკმარის და სარწმუნო ინფორმაციას ჰესების კასკადის პროექტის რეალური ზეგავლენის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობაზე, ბუნებრივ გარემოსა და ზოგადად რეგიონზე. დოკუმენტში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების საკითხების დიდი ნაწილი საერთოდ შეუსწავლელია (გავლენა ჯანმრთელობაზე, ნარჩენების მართვა, ზემოქმედება მიკროკლიმატზე, კლიმატის ცვლილების ზეგავლენა, კუმულატიური ეფექტი, აგრობიომრავალფეროვნება და ა.შ.) ან არასაკმარისადაა შესწავლილი და გაანალიზებული (ზეგავლენა ფლორასა და ფაუნაზე, დაცული ტერიტორიები, ტყის ეკოსისტემები). შესაბამისად, ანგარიშში მოყვანილი დასკვნები უსაფუძვლო და მიკერძოებულია მშენებლობის დაწყების სასარგებლოდ, ვინაიდან არ არის გამყარებული შესაბამისი კვლევებით“.


ოფიციალური ინფორმაციით, ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტი კერძო ინვესტიციაა; კერძო ინვესტორი სახელმწიფოს წარუდგენს მშენებლობის პროექტს, ხოლო მონონების შემთხვევაში, განახორციელებს მას; მშენებლობის დასრულების შემდეგ, ჰესები მის სრულ მფლობელო-

ბაში გადავა და თავად მართავს მათ. ამ პროცესში სრულიად გაუგებარია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს როლი, რომელიც ღიად ლობირებს პროექტს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება კი საამისოდ ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს – არადა პროექტს ეკონომიკური თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნისთვის არაფერი მოაქვს, სამაგიეროდ, ბუნება და კულტურული მემკვიდრეობა ენირება:

ბუნების დამცველები მოითხოვენ, რომ „სრულფასოვნად, ყველა გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ასპექტის გათვალისწინებით შეისწავლონ და დაასაბუთონ ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტის განხორციელების საჭიროება; გამოქვეყნდეს ნამოხვანის ჰესების კასკადის საპროექტო დოკუმენტაციის საბოლოო ვერსია განსახლების სამოქმედო გეგმასთან ერთად; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით, დაიწყოს რეალური და არა პროფანაციული საჯარო კონსულტაციები; ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, სხვა საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, შეწყვიტონ ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტის ლობირება...“


...საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა გამოაცხადონ მორატორიუმი საქართველოში დიდი კაშხლების მშენებლობის, მათ შორის, ნამოხვანის ჰესების კასკადის დაფინანსებაზე, მანამ, სანამ საზოგადოების ფართო მონაწილეობით არ შემუშავდება საქართველოს ენერგო-სექტორის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია...“

ანუ მოთხოვნაა საჯაროობა, საზოგადოების თანამონაწილეობა და არჩევანის თავისუფლება!. და ეს ქვეყანაში, რომლის ხელისუფალს მსოფლიოში ნომერ პირველ რეფორმატორად მოაქვს თავი!

...ნერილის ბოლოს ისევ ბუკოვსკის ფრაზას მივუბრუნდები – ჩვენი უმეტესობა (ეს მხოლოდ ინტელექტუალებსა და მწერლებს არ ეხება) მართლაც მხოლოდ საკუთარი პერსონითაა დაკავებული. არადა, ქვეყანა გვეძირება – არა მხოლოდ ლეჩხუმში. გვეძირება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. აღარაა დრო, ხმა ამოვიღოთ?!.. 

flydubai

თბილისსა და ლუბანს შორის
ფიანებს FLYDUBAI შინაჩივებს



გოიხგი ჯახბელაშვილი და გაით ალ გაითი

ლუბანს ნოვაჯოხილი, დაბალი ტაჩიფების მქონე ავიაკომპანია flydubai-მ გახითონაწილი სა-ამიოხობდან თბილისის მიმართულებით ფიანა-ზე ქაითილი მხაჩისგან ოფიციალური ნებაითვა მიილო. flydubai-ისთვის თბილისის მიმართუ-ლებით ჰიისი ჰიითი 45-ა.

ავიაკომპანია flydubai 2008 წლის მაჩი-ში შეიქმნა და მეშაბა 2009 წლის ივნისში დაიწყო. flydubai დაბალი ტაჩიფების მქონე და სნაჟად მხაჩი კომპანიაა.

შეთანწმებას აჩაბელ მხაჩესთან საქაითე-ვლის ეკონომიკის და მგაჩადი განვითაჩების მინისტრის მოადგილემ გოიხგი ჯახბელაშვილმა აჩაბთა გახითონაწილი საამიოხობში ოფიციალ-ჰი ვიზიტიკისა მიაღწია. ჯახბელაშვილის თქმით, flydubai-ის შემოსევა საქაითევის ბაზაჩზე მნიშვნელოვანი ეტაპია საქაითევის და აჩა-ბთა გახითონაწილი საამიოხების ქითიქითობებში.

"აჩაბთა გახითონაწილი საამიოხობში ჰეკო-ნიდან 55,000-ზე მეტი ექსპაჩიკატი ცხოვჩობს. ამასთან, საამიოხობს ყოველწიოხად მილიონზე მეტი ტუჩისტი სეშეობს. იმეტი გვაქვს, ჰომ პო-დაპოჩი ჰიისები მნიშვნელოვან ჰოლს შესაჩელებს ოჩ ქვეყანას შოჩის მგაჩეხობის გამაჩიეებასა და ხელმისაწვდომობაში", - აბობს flydubai-ის აღმასჩელებელი ეიქეუსოჩი გაით ალ გაითი.

flydubai აშეამაღ ჰიისებს ყოფილი საბჭო-თა რეპოჩის ხეტი ქვეყანაში აჩელებს: სომეტი-ში, აჩეხბაიკანში, ჰუსეთსა და თქიქმენეთში.

ჰიისები თბილისის მიმართულებით 2011 წლის 4 ნოემბეჩს დაიწება და ეჩიხაში ოჩეჩი შესეჩელებს. ჰიისი ეტაპის მე-2 ტეჩიმიჩილიდან 23:45 საათზე გამოქიჩინდება და თბილისს აჩ-ჰიოჩეში ადგილობრივი ეჩიოთი 03:15 საათზე დაეშეება, ხოლო ჰიისი უკეშიმართულებით თბი-ლისიდან 04:00 საათზე დაეჩიინდება.

ეტაპი-თბილისის ოჩმეჩიგი ბილეთის ფაჩი 270 ოლჩიჩიდან (990 ეჩიზმიჩიდან) იწება ხოლო ჰეგისიჩიხიბეტი ბაჩის გადატანის საფაჩეჩი 14 ოლჩიჩიდან (20ეა-ბითის) იწება.

ჯიოფხავშიჩაბის ხოცი და მისი დაუსვანი ნავხაბი

ინტერვიუ გაერთიანებული
პროფკავშირების აპარატის უფროსთან,
პაატა ბელთაძესთან

როგორ აფასებთ ქუთაისში, ქარხანა „ჭერკულესში“ განვითარებულ მოვლენებს? თქვენი ინფორმაციით, რა მოხდა საწარმოში?

„ჭერკულესის“ მუშების გაფიცვის დაშლისას, სამართალდამცავ ორგანოებს არ ჰქონდათ არანაირი სამართლებრივი საფუძველი, ჩარეულიყვნენ გაფიცულთა საქმიანობაში.

როგორც იცით, ორმოცამდე გაფიცული, რომლებიც ქარხანაში არსებულ ვითარებას კონსტიტუციით გარანტირებული გაფიცვით გამოხატავდა, პოლიციამ დაშალა.

მათ პოლიციის ოცამდე მანქანა მოულოდნელად დაადგა თავს. გაფიცულები მანქანებში ჩაყარეს და გაურკვეველი მიმართულებით გადაიყვანეს. დაკავებულები იმავე ღამეს გაათავისუფლეს, თუმცა, როგორც ირკვევა, მათ სამუშაო ადგილებზე დაბრუნებას აიძულებდნენ. იმავე ღამეს გაფიცულებს სახლში დაუარეს და ასევე მუქარით აიძულეს საწარმოში დაბრუნება.

ამ ქმედებებით დაირღვა ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორცაა გაერთიანების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, შეიზღუდა ასევე გაფიცვისა და ყველა ის ფუნდამენტური უფლება, რაზედაც დემოკრატიული სახელმწიფოები დგანან.

ფოტო: ლევან სანაძე





პოლიციელებმა მუშებს კანონიერი გაფიცვის საშუალება არ მისცეს, ეს გაუგონარი ქმედებაა, როგორც თვითმხილველები ამბობენ, დაშლის დროს იქვე იყო იმერეთის გუბერნატორიც.

გაფიცულების დაშლის დროს ქარხანასთან ყოფნის გარდა, კიდევ რა ფორმით იყო მთავრობა ამ პროცესში ჩართული?

როდესაც სანარმოში ვითარება დაიძაბა, სამთო და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირის ხელმძღვანელმა წერილი გაუგზავნა ქუთაისის სამხარეო ადმინისტრაციას, რომ ჩარეულიყო და ვითარება გაერკვია. პროფკავშირი ასევე ითხოვდა, მთავრობას ქარხანაში არსებულ აუტანელ პირობებზე რეაგირება მოეხდინა, მთავრობის პასუხი კი იყო, რომ მათ არ აქვთ უფლება ჩაერიონ რომელიმე კერძო სანარმოს საქმიანობაში.

ამას ისიც ემატება, რომ გაფიცვის დაშლის შემდეგ, ქუთაისის მერის მოადგილემ, ვინმე ჯიქიამ განაცხადა, რომ ის და სახელმწიფო ყველანაირად ხელს შეუწყობენ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას.

წარმოგიდგენიათ, როგორ აზროვნებასთან გვაქვს საქმე?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ადამიანები ამომრჩეველს ეუბნებიან – მე არ ჩავერევი და შენ შეგიძლია მონურად იშრომო, ექვემდებარებოდე ექსპლუატაციას და არ გქონდეს არანაირი პირობები.

მაშინ რაში გჭირდება ეს ინვესტიციები? ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ინვესტიციების ზრდა არ უნდა აისახებოდეს თითოეული მოქალაქის მდგომარეობაზე?

ახალი შრომის კოდექსი პირდაპირ ზღუდავს გაერთიანების თავისუფლებას. წარმოგიდგენიათ, 21-ე საუკუნეში როგორ უნდა შეძლოს დამოუკიდებელი ინსტიტუტის მშენებლობა ორგანიზაციამ, რომელსაც ასე ხელალებით ეპყრობიან? გაფიცულები ხომ

ანტისახელისუფლებო განცხადებით არ გამოსულან და პოლიტიკურად ანგაჟირებულები არ ყოფილან. ისინი გაუსაძლისი პირობების გაუმჯობესებასა და იმ 17 ადამიანის სამსახურში აღდგენას ითხოვდნენ, რომლებიც ერთი თვის მანძილზე პროფკავშირული საქმიანობისთვის დაითხოვეს.

ეს ხალხი დისკრიმინაციული ნიშნით, ყოველგვარი მიზეზის მითითების გარეშე დაითხოვეს სამსახურიდან.

ამ ადამიანებს არ აქვთ უფლება, იდავონ სასამართლოში, ვინაიდან მათ ხელთ არ აქვთ თავიანთი გათავისუფლების ბრძანება, რაზეც სარჩელს დააფუძნებდნენ. ცალკე პრობლემაა

■ ძლიერი ორგანიზაცია

ვითარდება იქ, სადაც

არის ძლიერი სამოქალაქო

თვითშეგნება. სუსტი

სამოქალაქო თვითშეგნების

ფონზე წარმოუდგენელია

ძლიერი პროფკავშირების

არსებობა.

დამსაქმებლის უფლება, მიზეზის დაუსაბუთებლად გაათავისუფლოს დასაქმებული სამსახურიდან.

ანუ მთავრობამ ამ საქმეში რა როლი ითამაშა?

არაფერი, გარდა ადგილობრივი მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებისა, რომ ის ყველანაირად დაიცავს ბიზნესის ინტერესებს. გამოდის, რომ მთავრობა მზადაა, დაიცვას ბიზნესის ინტერესები, მაგრამ არა საკუთარი ხალხი.

რა კონკრეტული მიზეზით დაითხოვეს ეს 17 ადამიანი სანარმოდან?

ეს ადამიანები შარშანაც სამუშაო

პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით გაიფიცნენ. ეს იყო სპონტანური გაფიცვა და მუშებს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები არ დაუცავთ, რისთვისაც მათ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს.

ერთი წლის თავზე, მათ მიმართეს გაერთიანებულ მეტალურგიულ პროფკავშირს, დაიწყო მუშაობა, რომ ადგილზე შექმნილიყო დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც არა სპონტანური გაფიცვით, არამედ ორგანიზებული ფორმით გამოხატავდა პროტესტს.

8 აგვისტოს დაფუძნდა პირველადი ორგანიზაცია, უკვე 11 აგვისტოს კი სამსახურიდან ადამიანი გაათავისუფლეს.

ამის შემდეგ დაიწყო მობილიზება. მოთხოვნების ნუსხა გაეგზავნა ადმინისტრაციას და ეთხოვა, რომ გონივრულ ვადაში წარმოედგინა შემხვედრი შემოთავაზება, რომ დაწყებულიყო კოლექტიური მოლაპარაკებები. სამწუხაროდ, ამას მოჰყვა მუდმივი იგნორირება, ადმინისტრაციამ გაიგო რა ამ ორგანიზაციის შექმნის შესახებ, დამფუძნებლები სამსახურიდან დათხოვნით დასაჯა.

2 სექტემბერს მოეწყო ორსაათიანი გამაფრთხილებელი აქცია და იმ დღიდან მოყოლებული 13 სექტემბრამდე, როდესაც უკვე სრულმასშტაბიანი გაფიცვა დაიწყო და გაჩერდა წარმოება, კიდევ 11 ადამიანი გაათავისუფლეს.

მიუხედავად შანტაჟისა და მუქარისა, ამ ადამიანებმა მოახერხეს, რომ პროტესტი გამოეხატათ და თავიანთი გათავისუფლებული კოლეგების დასაცავად და პირობების გასაუმჯობესებლად გაფიცვა დაიწყეს.

ამ ფონზე, რა როლს ითამაშებენ პროფესიული კავშირები საქართველოში?

იმ ქვეყნებში, სადაც პროფკავშირები ანგარიშგასაწიფი ძალაა, პროფკავშირების განვითარებას დიდი ისტორია აქვს.

ჩვენ არ უნდა დაგვაინყდეს,

თუნდაც 20-25 წლის წინ რა საზოგადოებაში ვცხოვრობდით, როგორი დისკრედიტირებული იყო პროფკავშირი და არც ის მახინჯი მენტალობა უნდა დავივიწყოთ, რაც კომუნიზმმა დაგვიტოვა.

რას გულისხმობთ, რა დამოკიდებულებაა პროფკავშირების მიმართ?

დამოკიდებულება უშუალოდ მთავრობის მხრიდან არის აბსოლუტურად შეუწყნარებელი. მათი ხედვით, ეს ორგანიზაცია არის ბოროტება და ამ ბოროტებას ხელები უნდა მოეკვეთოს.

ობიექტურად რომ შევხედოთ, შესწევს კი პროფკავშირს უნარი, დაიცვას დასაქმებულის ინტერესები?

რა თქმა უნდა, შესწევს. მაგრამ თუ სამართალდამცავების მხრიდან მსგავსი ქმედებები გაგრძელდება, მაშინ მითხარით, ასეთ პირობებში რომელი ორგანიზაცია მოახერხებს დასაქმებულების უფლებების დაცვას?

ანუ ის გზები, რითაც სხვა პროფკავშირები იცავენ დასაქმებულებს, აქ არ მუშაობს?

არ მუშაობს, რა თქმა უნდა და ვერც იმუშავებს. ძლიერი ორგანიზაცია ვითარდება იქ, სადაც არის ძლიერი სამოქალაქო თვითშეგნება. სუსტი სამოქალაქო თვითშეგნების ფონზე წარმოუდგენელია ძლიერი პროფკავშირების არსებობა.

მაშინ რას აკეთებს პროფკავშირი, როცა მას მისი წვერი მომართავს?

პროფკავშირების მეშვეობით იგზავნება დასკვნები საერთაშორისო ორგანიზაციებში, ტარდება მონიტორინგი, ასევე იურიდიული კონსულტაცია, მარტო შარშან ჩვენმა იურისტებმა 468 საქმე აწარმოეს.

ზუსტად ვერ ვიტყვი რამდენი, მაგრამ არის რამდენიმე საწარმო, სადაც პროფკავშირი მუშაობს, ძლიერდება და ვითარდება.

ასეთი შედარება შეგვიძლია მოვიყვანოთ – ზოგჯერ არსებული

მდგომარეობიდან გამომდინარე, კაპიტანს უწევს გემი ღია ზღვაში შეაკეთოს, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში ამ ღია ზღვას საკმაოდ მძიმე შტორმიც ერთვის. აი, ეს არის რეალობა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პროფკავშირი ხომ არ არის ბუტაფორიული ორგანო?

თქვენ ამბობთ, რომ რომელიმე ორგანიზაცია შეძლებს სამთავრობო პოლიტიკას შეენინაღმდეგოს მაშინ, როცა პოლიცია იყენებს ძალას და არბევს ამ მომიტინგეებს?

თუ პროფკავშირი მისი წევრების უფლებების და ინტერესების დაცვას ვერ ახერხებს, მაშინ რა აზრი აქვს მის არსებობას?

როგორ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს იმ ორგანიზაციის არსებობა, რომელიც მუდმივად იბრძვის. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ მისი არსებობა არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

ჩვენ ვიცით, რომ ეს არის ძალიან დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი, სახელმწიფოშია თავად ისეთი იდეოლოგია, რომელიც ვერ გუობს ვერანაირ სოციალურზე ორიენტირებულ ძალას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი არსებობა ეჭვქვეშ დადგეს.

რამ უნდა წახალისოს რიგითი დასაქმებული, რომ პროფკავშირში გაერთიანდეს?

წახალისების ბევრი ფორმა არსებობს, უპირველეს ყოვლისა, ამ ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ პროფკავშირში ყოფნა, გარკვეულწილად, მისი სოციალური დაზღვევაა.

არის კი?

რა თქმა უნდა, არის. სოციალური დაზღვევა ნიშნავს, რომ მე ვიხდი საწევრო თანხას იმისთვის, რომ ეს ორგანიზაცია მომემსახუროს, უზრუნველყოს ჩემი სოციალური უფლებების და შრომითი უფლებების დაცვა, როცა მე ამის

საჭიროება წარმოემქმნება. ჩვენ ამ რელსებზე გადავდივართ.

პროფკავშირის მთავარი ნება და იდეა არის კოლექტიური ნება. იმიტომ, რომ იქ, სადაც დამსაქმებელს შეუძლია ერთს მოექცეს ძალიან უსამართლოდ, ასს და ასორმოცდაათს ასე ვერ მოექცევა.


შრომითი კანონმდებლობა სპობს გაერთიანების თავისუფლებას. ეს საკითხი მოხვდა შრომის საერთაშორისო კომისიის ექსპერტთა დასკვნაში, ევროპის სოციალური ქარტიის სამთავრობო კომიტეტის დასკვნაში, ასევე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის და ევროკომისიის დასკვნებში, რომელიც გარკვევით ამბობს, რომ მთავრობამ უნდა შეცვალოს არსებული მიდგომები და შრომის კანონმდებლობა მოიყვანოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ნორმებთან შესაბამისობაში.

ამ მდგომარეობაში, როცა კანონმდებლობა გაუმართავია, პოლიტიკური ნება არ არსებობს, რა ბერკეტი რჩება პროფკავშირებს?

საერთაშორისო ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია... არის სხვა ბერკეტებიც, მაგალითად, ევროკავშირის ასოცირებული წევრობისთვის ქვეყანას 25 პუნქტი აქვს აუცილებლად შესასრულებელი. აუცილებელ პუნქტებს შორისაა სოციალური და შრომის კანონმდებლობის გამართვა, რომელიც ჩვენი მთავრობის აქტიურობის ქუსლად რჩება.

ბოლოს კი ვიტყვი, რომ ჩვენ ვართ მართლაც საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ორგანიზაცია და მიგვაჩნია, რომ რაც უფრო ძლიერი იქნება ბიზნესი და მასში ჩართული თავისუფალი ადამიანების შეგნება, მით უფრო ძლიერი იქნება სოციალური იდეაც და დაცულობის ხარისხიც უფრო ამაღლდება. **■**

ესაუბრა ნანა საჯაია.



სახჩევნო სვინცებები უსვინცი ჰონცინიხუხი ბახემოსთვის

ნომბერში საქართველოს ახალი საარჩევნო კოდექსი ექნება. შეიცვლება კი პოლიტიკური თამაშის წესები?

მაია ნიკლაური

უკვე მეორე შემოდგომაა, საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებულ პარლამენტს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი კანონის მიღება უნევს.

შარშანდელ საშემოდგომო სესიაზე დეპუტატებმა კონსტიტუცია შეცვალეს, წელს – ახალი საარჩევნო კოდექსი უნდა მიიღონ. ორივე დოკუმენტი აუცილებელი სამზადისია 2013 წლისთვის, როდესაც უნდა გადაწყდეს, ვინ გახდება ქვეყნის ლიდერი, მას შემდეგ,

რაც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული პრეზიდენტი თავის მეორე და უკანასკნელ საპრეზიდენტო ვადას ამოწურავს.

თუ გასულ წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები (სუსტი პრეზიდენტი, ძლიერი მთავრობა) მიხეილ სააკაშვილს გავლენიან პრემიერ-მინისტრად დარჩენის შესაძლებლობას აძლევს, წელს პარლამენტისთვის გადაგზავნილი ახალი საარჩევნო კოდექსი

ამ შესაძლებლობას ბევრად უფრო რეალურსა და ადვილად მისაღწევს გახდის.

ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნით, ახალი საარჩევნო კოდექსი იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი დღეს პარლამენტში წარდგენილი, ვერ შეძლებს საარჩევნო გარემოში არსებული ფუნდამენტური პრობლემების აღმოფხვრას. კოდექსში ექსპერტები მხოლოდ „ფასადურ ცვლილებებს“ ხედავენ, რაც მომავალ არჩე-

ენებში ისევ ხელისუფლების სასარგებლოდ იმუშავებს.

თუ შარშან ახალი კონსტიტუციის მიღებაში ოპოზიცია პრინციპულად არ მონაწილეობდა, საარჩევნო კოდექსი ის საკითხია, რაზეც ხელისუფლებასთან ერთად 8 ოპოზიციურმა პარტიამ მთელი გასული წლის განმავლობაში იმუშავა. საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე შედეგი დადგა – ხელისუფლებამ მაინც მისთვის ხელსაყრელი ვარიანტის „გატანა“ მოახერხა ისე, რომ ოპოზიციის არცერთი პრინციპული შენიშვნა არ გაუთვალისწინებია.

საარჩევნო კოდექსის ცვლილებათა პაკეტი ის დოკუმენტია, რომლის შექმნასაც 2010 წლიდან საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად ლობირებდა. ამ მიზნით შექმნილი ოპოზიციური „რვიანის“ არსებობაშიც ძალიან დიდი იყო სწორედ საერთაშორისო პარტნიორების წვლილი. უცხოელი დიპლომატები ევროსაბჭოს რეზოლუციით, ევროკავშირის დიპლომატების, „ნატოს“ მინისტრების, ამერიკელი სახელმწიფო მოხელეების განცხადებებით, პირადი შეხვედრებით საქართველოს ხელისუფლებას და ოპოზიციას ერთმანეთთან მოლაპარაკებებისა და ისეთი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბებისაკენ მოუწოდებდნენ, „რომელიც ყველა მონაწილე მხარის ნდობას დაიმსახურებდა“.

საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა ჯერ კიდევ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დადგა.

თბილისის ადგილობრივმა არჩევნებმა აჩვენა, რომ სახელისუფლებო გუნდს წარმატებაში, უამრავ სხვა ფაქტორთან ერთად, დაუზუსტებელი სიები, დაუბალანსებელი მედიაგარემო და უკონტროლო ადმინისტრაციული რესურსები დაეხმარა. მნიშვნელოვანი იყო ფინანსური ფაქტორიც. 2010 წლის არჩევნებში სულ 16 მილიონამდე ლარი დაიხარჯა და აქედან 14 მილიონი მხოლოდ მმართველი პარტიის ბიუჯეტს შეადგენდა.

2010 წლის 6 ოქტომბერს ბერლინში „ნატო“-საქართველოს მინისტრიალზე

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ ამერიკელი პარტნიორები საქართველოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ელიან.

„ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს, განახორციელოს საარჩევნო კოდექსის რეფორმირება იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხელისუფლების სრულიად დემოკრატიული გადაცემის პროცესი 2012-13 წლების არჩევნების შედეგად“, – აღნიშნა კლინტონმა.

ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში ოპოზიციამ ხელისუფლებას მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა და საარჩევნო კანონის შესაცვლელად კონკრეტული წინადადებები გაუგზავნა. 2010 წლის 10 ნოემბერს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თემაზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პირველი შეხვედრა შედგა.

პროცესი დაიძრა. ოპოზიციური „რვიანი“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის ხელისუფლებას რამდენიმე პრინციპულ წინადადებას სთავაზობდა, რომელთაგან არცერთი არ დაკმაყოფილდა.

მთავარი საკითხი, რასაც ოპოზიციური „რვიანი“ აყენებდა – მაჟორიტარული წესით დეპუტატების არჩევის სისტემის გაუქმება იყო.

მაჟორიტარული სისტემის მთავარი პრობლემა ისაა, რომ პარლამენტში 2/3-იანი საკონსტიტუციო უმრავლესობა შეუძლია ჰყავდეს ისეთ პარტიას, რომელსაც არჩევნებში მოსახლეობის 2/3-ის მხარდაჭერა არ მოუპოვებია. მაგალითად, წინა საპარლამენტო არჩევნებზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 59 პროცენტი მოიპოვა, თუმცა საპარლამენტო ადგილების 79 პროცენტი მიიღო. დამატებითი 20 პროცენტის დაგროვება „ნაციონალურმა“ მოძრაობამ სწორედ მაჟორიტარი დეპუტატების ხარჯზე მოახერხა.

გასულ კვირას WikiLeaks-მა საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ შედგენილი რამდენიმე ტელეგრამა გამოაქვეყნა. დეპუტატი, რომელიც 2008 წლით თარიღდება, კარგად ჩანს, რომ ამერიკელ პარტნიორებს საქართველოს

საარჩევნო კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვან ხარვეზად სწორედ დეპუტატთა მაჟორიტარული წესით არჩევის სისტემა მიაჩნიათ.

„უპირველეს ყოვლისა, მაჟორიტარული სისტემა ამცირებს ქალაქების ხმების ზეგავლენას (სადაც ოპოზიცია უფრო ძლიერია), რადგან ადგილების განაწილება პარლამენტში ოლქების მეშვეობით ხდება და არა [ამ ოლქებში მცხოვრები] მოსახლეობის ოდენობის მიხედვით“, – ნათქვამია დიპლომატიურ გზავნილში.

WikiLeaks-სმა გამოაქვეყნა 2008 წლის მარტით დათარიღებული კონფიდენციალური დეპუტა, სადაც მოთხრობილია აშშ-ის მაშინდელ ელჩს ჯონ ტეფტსა და მმართველი პარტიის ყოფილ დეპუტატს, ამჟამად ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს გიგა ბოკერიას შორის გამართული საუბრის დეტალები. ეს ის პერიოდია, როდესაც ნაციონალური მოძრაობის გადანყვეტილებით, მაჟორიტართა რიცხვი 50-დან 75-მდე გაიზარდა, რასაც ოპოზიციის საპროტესტო აქციები მოჰყვა.

„როცა ჩვენ ვუთხარით (ბოკერიას), რომ ეს წინადადება [საპარლამენტო მანდატების თანაბრად გაყოფაზე 75 მაჟორიტარს და 75 პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატს შორის] დიდი ალბათობით პარლამენტში ერთი პარტიის დომინანტობას განაპირობებდა, რაც მთლიანობაში არ იქნებოდა ქართული დემოკრატიის ხელშეწყობი, ბოკერიამ ამის საპასუხოდ თქვა, რომ თუ ოპოზიცია მოიპოვებდა პარლამენტში საკმარის ადგილებს მმართველი პარტიის წინადადებების დასაბლოკად, ეს რეფორმებს შეაჩერებდა“, – ნათქვამია ტელეგრამაში.

მაჟორიტარული სისტემის შეცვლის



საარჩევნო ხელშეწყობის მნიშვნელოვანი თარიღები

2010 წლის 21 ივლისი – მმართველმა პარტიამ საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ინტერპარტიულ ჯგუფს მუშაობის განახლებისკენ მოუწოდა, რათა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „საარჩევნო გარემო კიდევ უფრო გაუმჯობესდეს“.

2010 წლის 4 ოქტომბერი – რვა ოპოზიციურმა პარტიამ (თავისუფალი დემოკრატები, საქართველოს გზა, რესპუბლიკური პარტია, კონსერვატორები, ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, ხალხის პარტია) ხელისუფლებას საარჩევნო რეფორმის ირგვლივ საკუთარი წინადადებები გადასცა და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა.

2010 წლის 6 ოქტომბერი – ბერლინში „ნატო“-საქართველოს მინისტრიალზე ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა საქართველოში საარჩევნო კოდექსის რეფორმის მნიშვნელობაზე ისაუბრა. „რეფორმირებულმა საარჩევნო კოდექსმა უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების სრულიად დემოკრატიული გადაცემის პროცესი 2012-13 წლების არჩევნების შედეგად“, – განაცხადა კლინტონმა.

2010 წლის 10 ნოემბერი – ოპოზიციისა და ხელისუფლების მოლაპარაკებები საარჩევნო ცვლილებების შესახებ დაიწყო.

2010 წლის 14 ნოემბერი – პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „რვიანის“ ინიციატივა, მაჟორიტარული სისტემის ცვლილების შესახებ გააკრიტიკა, მან განაცხადა, რომ ამ ცვლილების წინააღმდეგია.

2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის მარტამდე – პროცესი გაიყინა, პარტიებმა კონკრეტულ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

2011 წლის 9 მარტს – მმართველმა პარტიამ ოპოზიციურ „რვიანს“ საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების საკუთარი ინტერპრეტაცია გაუგზავნა.

2011 წლის 5 აპრილი – ოპოზიციამ მოლაპარაკებების გადასარჩენად მმართველ პარტიას ახალი წინადადებები შესთავაზა.

2011 წლის 13 აპრილი – ევროპის საბჭომ – საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციით, ხოლო ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა – ერთობლივი განცხადებით საქართველოს საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებისკენ მოუწოდეს და საარჩევნო კოდექსის რეფორმას ევროინტეგრაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდეს.

2011 წლის 15 აპრილი – ბერლინში „ნატო“-საქართველოს კომისიის სხდომაზე „ნატოს“ მინისტრებმა ხაზი გაუსვეს საქართველოსთვის მოახლოებული

არჩევნების წინ საარჩევნო რეფორმის მნიშვნელობას.

2011 წლის 18 აპრილი – ევროკავშირის გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა სტეფან ფულემ განაცხადა, რომ საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მოლაპარაკებები დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის შესაქმნელად მნიშვნელოვანია.

2011 წლის 27 აპრილი – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში, თინა ქეიდენაუმ განაცხადა, რომ მოახლოებული არჩევნების ფონზე მნიშვნელოვანია საარჩევნო რეფორმა ნელს დასრულდეს.


2011 წლის 5 მაისი – მმართველმა პარტიამ ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობის ახალი ფორმა მოძებნა და მათთან ინდივიდუალური მოლაპარაკებები დაიწყო.

2011 წლის 27 ივნისი – „ახალი მემარჯვენეები“ და „ქრისტიან-დემოკრატები“ მმართველი პარტიის წინადადებებს დათანხმდნენ, ოფიციალური ხელშეკრულება გააფორმეს და ოპოზიციური „რვიანი“ დატოვეს.

2011 წლის 19 სექტემბერი – საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებებზე მომუშავე სარედაქციო საბჭომ პარლამენტს კოდექსში შესატანი ცვლილებათა პაკეტი წარუდგინა.

საშალოდ ხა ლიხს ყოვანდოხად აითი დაჯატახის შანახვა?

სახის დასახლება	თანის მოდოვა დაჯატში
ხელფასი და დანამატი	34.376 ლარი
პრემია	15.167 ლარი
სამივლინებო ხარჯი	8.000
ავტომანქანის სანავის ხარჯი	4.096 ლარი
ფექსირებული ტელეფონის ხარჯი	780 ლარი
მობილურის ხარჯი	480 ლარი
სულ	62.899 ლარი



საკითხი დღის წესრიგიდან მოლაპარაკებების დაწყებისთანავე მოიხსნა, რადგან ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა ამ საკითხის განხილვისას თქვა, რომ იგი მაჟორიტარული სისტემის შეცვლის კატეგორიული წინააღმდეგია. ასევე უცვლელია ბარიერი მაჟორიტარი კანდიდატებისათვის.

თითქმის არაფერი შეცვლილა რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში – ადმინისტრაციული რესურსების გაკონტროლების, სიების გადამონმებისა და არჩევნების გაშუქებისას მედიის მონიტორინგის ნაწილში.

ოპოზიციის მოთხოვნა, შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას გაუწევდა მონიტორინგს და საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევაზე რეაგირებას მოახდენდა, არ დაკმაყოფილდა.

ასევე, ახალ კანონში არ იქნება გათვალისწინებული ცვლილებები, თუ როგორ უნდა იმუშაოს მედიამ წინასაარჩევნოდ. მედიამონიტორინგის ნაკლებობაზე თვითმმართველობის არჩევნების დროს და შემდეგაც საერთაშორისო დამკვირვებლები მიუთითებდნენ.

ადმინისტრაციული რესურსი და უპირობო მედია მხარდაჭერა, რომელსაც ხელისუფლება ფლობს, მნიშვნელოვანი იარაღია, რომლის განეიტრალებას ახალი კანონმდებლობა ვერ ახერხებს.

„კანონმდებლობაში ის დებულებები, რომლებიც გარკვეული საჯარო

მოხელეების საარჩევნო კამპანიაში შეუზღუდავი მონაწილეობის და ასევე საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა, არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის თანაბარ პირობებს არ უზრუნველყოფს“, – წერია საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მოხსენებაში, რომელიც თვითმმართველობის არჩევნების შემდეგაა დაწერილი.

ამის სანაცვლოდ ცვლილება შევიდა წინასაარჩევნოდ პარტიების დაფინანსების წესში. ერთადერთი, რა შედეგსაც მიაღწიეს ოპოზიციურმა პარტიებმა, ის არის, რომ დაფინანსების გაზრდის საშუალება აქვთ. ყველა პარტია, რომელიც არჩევნებში 5-პროცენტთან ზღვარს გადალახავს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონ ლარს მიიღებს.

გაიზარდა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის შემონიშნულობების ზღვარი. თუ აქამდე ფიზიკურ პირებს პარტიისთვის მაქსიმუმ 30 ათასი ლარის გადახდა შეეძლოთ, ახალი კანონით 60 ათასის გადახდა შეეძლებათ. იურიდიული პირებისთვის კი ეს ლიმიტი 100-დან 200 ათასამდე გაიზარდა.

2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე თანხა 398-მა იურიდიულმა პირმა გადაირიცხა, ოპოზიციური პარტიების ანგარიშზე კი – მხოლოდ 13-მისიც მხოლოდ 2 პარტიის „ქრისტიან-

-დემოკრატებისა“ და „მრეწველების“ ანგარიშზე. ეს ციფრები იმ ეჭვებს ამყარებს, რომ კერძო ბიზნესი პრინციპულად უფროსის ოპოზიციასთან თანამშრომლობას, ამიტომ ზედა ზღვარის გაზრდა მხოლოდ ხელისუფლების ყულაბაში მოიტანს უფრო მეტ ფულს და დიდი ვერაფერი შეღავათია ოპოზიციისთვის.

არაფერი შეცვლილა სიების გადამონმების თვალსაზრისითაც. ოპოზიცია ბიომეტრიული პასპორტებით ხმის მიცემას ითხოვდა, რადგან ეს საარჩევნო სიებით მანიპულირებას 100 პროცენტით გამოიცხავდა. არც ეს მოთხოვნა შესრულებულა.

ხელისუფლებამ ბიომეტრიული პასპორტებით ხმის მიცემაზე უარი ორი მიზეზით განაცხადა, რომ ერთი – ქვეყნის მასშტაბით ამ სისტემის დანერგვა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული და მეორე – ვადებში ვერ ჩაეტოვდნენ.

საარჩევნო კოდექსის ახალი პროექტით, საარჩევნო სიებს სპეციალური კომისია გადამონმებს. სიახლე ის არის, რომ ამ კომისიას ოპოზიციის წარმომადგენელი უხელმძღვანელებს. არადა, მსგავსი გამოცდილება უკვე არსებობს. ხელისუფლებამ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს ოპოზიციას ბიუჯეტიდან 12 მილიონი მისცა მხოლოდ იმისთვის, რომ სიები თავად გადაემონმებინა, რაც საბოლოოდ ფუჭად დახარჯული ფული აღმოჩნდა. ის ხარვეზები, რაც ოპოზიციამ

ჩა სვლიჯაზინა სააჩრვხო ჯოქაჟის ჰოქაჟში?

- ▶ პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-დან 190-მდე გაიზრდება.
- ▶ გაორმაგდა პარტიების საარჩევნო ფონდებში შემონიშნულობების ზედა ზღვარი. ფიზიკური პირებისათვის, 30 ათასის ნაცვლად, 60 ათასი ლარი იქნება, ხოლო იურიდიული პირებისათვის – 100 ათასი ლარიდან 200 ათას ლარამდე გაიზრდება.
- ▶ საარჩევნო ხარჯების დასაფარად ერთჯერადად 1 მილიონი ლარი გამოეყოფათ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც 5 პროცენტთან საარჩევნო ბარიერს გადალახავენ. ამ თანხიდან 300 ათასი ლარი პარტიებმა სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარად უნდა გამოიყენონ.
- ▶ კვალიფიციური სუბიექტების წარმომადგენლები საოლქო კომისიაში ერთჯერადად 100 ლარით დაფინანსდებიან, საუბნო კომისიაში კი – 50 ლარით.
- ▶ საოლქო კომისიების განთავსება უნდა აიკრძალოს თვითმმართველობების, სახელმწიფო ხელისუფლების, პრეზიდენტის რწმუნებულისა და პოლიციის კუთვნილ შენობებში.
- ▶ გაიზრდება საუბნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.
- ▶ საარჩევნო სუბიექტისთვის სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა 2-დან 4 დღემდე გაიზრდება.
- ▶ ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა რაოდენობა საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა 3 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.
- ▶ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს არჩევნების დღეს კომისიის წევრებთან ერთად საჩივრების რეგისტრაციისა და ბიულეტენების დათვლის პროცესში მონაწილეობის უფლება ექნებათ.
- ▶ „ცესკოს“ აღარ ექნება ვალდებულება არჩევნებამდე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა განსაზღვროს და გამოაქვეყნოს.
- ▶ მარკირების პროცედურა გაუქმდება.
- ▶ საარჩევნო უბნებზე ვიდეოთვალი აღარ განთავსდება.
- ▶ საარჩევნო პერიოდში „ცესკოს“ და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ხელმძღვანელებს ხელფასი გაუორმაგდებათ.
- ▶ საარჩევნო კოდექსში აღარ იქნება მითითებული, რამდენი ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქი შეიქმნება საპარლამენტო არჩევნების დროს. საარჩევნო ოლქებს, მათ საზღვრებს, სახელწოდებებსა და ნომრებს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით „ცესკო“ განსაზღვრავს.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის შთანხობის მიუხედავად, სააჩრვხო ჯოქაჟის ჰოქაჟში ახ აჩის ახახელი შამეაჟი სვლიჯაზინი:

- ▶ შემოღებული იქნება სიების დაზუსტებისა და მონიტორინგის მექანიზმები. სიებს სპეციალური კომისია გააკონტროლებს, რომელიც ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უნდა შევიდნენ და მას ოპოზიციის წარმომადგენელმა უნდა უხელმძღვანელოს.
- ▶ უნდა შეიქმნას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას და საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევაზე შესაბამისად იმოქმედებს.
- ▶ არჩევნების გამოცხადების დღიდანვე დაიწყება მედია მონიტორინგი საარჩევნო კამპანიის გაშუქების შესაფასებლად. „ცესკო“ მედიამონიტორინგს „კომპეტენტურ უცხოურ, ან საერთაშორისო კომპანიას დაუკვეთავს“.

სიების გადამონმებისას აღმოაჩინა, „ცესკომ“ არ გაითვალისწინა.

ახალ საარჩევნო კოდექსში რამდენიმე ისეთი ცვლილება შევიდა, რომელიც საარჩევნო გარემოზე ზეგავლენას ვერ მოახდენს. მაგალითად, გაუქმდა მარკირების პროცედურა, რაც თავის დროზე გაყალბების თავიდან ასაცილებლად შემოიღეს; საარჩევნო უბნებზე აღარ იქნება ვიდეო კამერებით დაკვირვება. თავის დროზე ამ პროცედურის შემოღებამ საარჩევნო პროცესი უფრო გამჭვირვალე ვერ გახადა, პირიქით, როგორც ვენეციის კომისია აღნიშნავს, „შესაძლოა ვიდეოკამერების გამოყენებას ზოგიერთი ამომრჩეველი დაემინებინა“.

8 ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული პარტიის გაერთიანება, თუნდაც ერთი მიზნის გარშემო, რთული პროცესი იყო. 8-თვიანი მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან მუდმივად საფრთხის ქვეშ იყო. მდგომარეობა 2011 წლის მარტში გამწვავდა, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა ხელისუფლების დათანხმება ვერცერთ პრინციპულ საკითხზე ვერ შეძლეს.

საარჩევნო რეფორმაზე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. სიტუაციიდან „გამოსავალი“ ისევ მმართველმა პარტიამ იპოვა. „რვიანი“ შემავალ ცალკეულ პარტიებთან ინდივიდუალური მოლაპარაკებების გზით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ გაერთიანების დაშლას შეუწყო ხელი. ხელისუფლების წინადადებას „ახალი მემარჯვენეები“ და „ქრისტიან-დემოკრატები“ დათანხმდნენ და „რვიანი“ დატოვეს.

„ძროხა მოვითხოვეთ, ქათამი დაგვიკლეს და გადავწყვიტეთ, ავილოთ. რომ არ ავილოთ, შიმშილით მოვკვდებით“;

„უნდა იცოდე, ვის ელაპარაკები და რის მიღება შეგიძლია მისგან. მმართველი პარტიისგან მიღებული შეთანხმება არ პასუხობს ჩვენს მოთხოვნებს, არ არის საუკეთესო, მაგრამ ეს მაინც სოლიდური შედეგია“, – ასე განმარტავდნენ საკუთარ გადაწყვეტილებას „ქრისტიან-დემოკრატებისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ წევრები.

ოპოზიციურ „ექსიანიად“ გადაქცეული ჯგუფი უახლოეს მომავალში ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტის პარალელურად პარლამენტში ალტერნატიული პროექტის წარდგენას გეგმავს.

თუმცა, იმის იმედი, რომ ოპოზიციის ვარიანტს პარლამენტში გაითვალისწინებენ, არავის აქვს.

იმ რვა ოპოზიციური პარტიიდან, რომლებიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ, თითქმის ყველა აპირებს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას.

ყველა მათგანი თანხმდება, რომ ახალი კოდექსის დამტკიცების შემთხვევაში, არჩევნებში მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება ოპოზიციას გაუჭირდება.

„რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი ხელისუფლებასა და ოპოზიციას

შორის მიღწეულ შეთანხმებას სკეპტიკურად უყურებს. ის შეთანხმების მიღწევისთანავე აცხადებდა, რომ 2012 წელს პოლიტიკური პარტიების წინაშე იგივე ამოცანა იდგება, რაც 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე იყო – ოპოზიცია ხელისუფლების ძლიერი ადმინისტრაციული, ფინანსური და მედია რესურსების პირისპირ აღმოჩნდება.

„საარჩევნო გარემო უნდა შეიცვალოს კომპლექსურად და არა ნაწილობრივ. ჩვენ ვითხოვდით ფუნდამენტურ ცვლილებებს. ამ ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა და რეალურად არც არაფერი შეცვლილა“, – ამბობს დავით ზურაბიშვილი.


ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი ირაკლი ჩიქოვანი საარჩევნო კოდექსის პროექტს ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებისათვის „თვალეში ნაცრის შეყრას“ უწოდებს. მისი განმარტებით, იმ საარჩევნო გარემოში, რასაც ახალი კოდექსი შექმნის, ოპოზიციას სერიოზული შედეგების მიღწევა გაუჭირდება.

არადა, მომავალ პარლამენტში თითოეული სადეპუტატო მანდატისთვის ბრძოლა ღირს.

ახალი კონსტიტუციის თანახმად, სწორედ პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც ქვეყნის რეალური მმართველი იქნება. პრემიერის კანდიდატურას კი პარლამენტში ის პარტია წარადგენს, რომელიც არჩევნებში ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

იმ შემთხვევაში, თუ 2012 წელს პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსული პარტია კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება, ქვეყანას კიდევ ერთი მოწვევის ბუტაფორიული პარლამენტი ეყოლება, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის დემოკრატიას.

თუმცა, საარჩევნო კოდექსზე მუშაობის პროცესმა დაადასტურა, რომ მმართველი გუნდი ხელისუფლებაზე მონოპოლიის შესანარჩუნებლად უკან არაფერზე დაიხებს. **■**



საქართველოს ლატარიის კომპანია

მოგებინი დახარია "საქართველოს ფოსტისთვის"

ბოლო 2 წლის მანძილზე „საქართველოს ლატარიის კომპანია“ ბაზარზე ჯერ მონოპოლისტი გახდა, შემდეგ კომპანიამ 70%-იანი წილი სახელმწიფოს აჩუქა და ბოლოს, 5-წლიანი მართვის უფლებით „საქართველოს ფოსტას“ გადაეცა. ლატარიას ფოსტა გაათამაშებს.

გივი მგელაძე

„შემოსავლების მაქსიმიზაციის, სათანადო მარკეტინგული, სარეკლამო და ეროვნული ლატარიის სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების წარმატებით, ეფექტურად განხორციელებისა და მომგებიანობის უზრუნველსაყოფად შპს „ლექსორ კაპიტალ კორპმა“ წერილით მიმართა ეკონომიკის სამინისტროს და გამოხატა ნება უსასყიდლოდ და უპირობოდ გადასცეს ლატარიის კომპანიის წილი – 70%“.

ასე იწყება 2011 წლის 9 აგვისტოს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ ოფისში დარეგისტრირებულ მფლობელსა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება. ხელშეკრულებას ორი ხელმოწერა აქვს, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის, ბიჭიკო ქოქიაშვილის და კომპანიის წარმომადგენლის, დიმიტრი ჩიქოვანის. შეიძლება ითქვას, ეს პირველი შემთხვევაა, როცა დავით კეზერაშვილის ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანი, როგორც ლატარიის კომპანიის მმართველი, ღიად გამოჩნდა. ხმები იმის შესახებ, რომ ლატარიის ბიზნესი კეზერაშვილს ეკუთვნის, უფრო სარწმუნო გახდა.

ბარიბაჰის არსი

9 აგვისტოს ხელშეკრულების მიხედვით, „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 100%-იანი წილის მფლობელმა, ოფისში, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა კომპანიამ „ლექსორ კაპიტალ კორპმა“ ლატარიის კომპანიის 70%-იანი წილი ეკონომიკის სამინისტროს აჩუქა. „უსასყიდლოდ და უპირობოდ“ აღნიშნულია ხელშეკრულებაში. კერძო კომპანიის 70%-იანი წილის სანაცვლოდ სახელმწიფოს რაიმე ვალდებულება ან პირობები არ უკისრია. ხელშეკრულება უვადა და „ლექსორ კაპიტალს“ წილის უკან გამოთხოვა ეკრძალება.

2011 წლის 11 აგვისტოს ლატარიის კომპანიის 70%-იანი წილი ეკონომიკის სამინისტრომ 5-წლიანი მართვის უფლებით საქართველოს ფოსტას გადასცა. საქართველოს ფოსტა სახელმწიფო შპს-ა და მას ფინანსთა ყოფილი მინისტრი კახა ბაინდურაშვილი ხელმძღვანელობს. ბაინდურაშვილმა მედიას განუცხადა, რომ ამ გარიგებით საქართველოს ფოსტაც იხიერებს და ინვესტორიც. „ჩვენ 50 მილიონ ლარამდე გავზრდით ლატარიის კომპანიის წლიურ ბრუნვას, რაც მეტ სარგებელს მოუტანს როგორც სახელმწიფოს, ისე კომპანიის 30%-იანი წილის მფლობელს – „ლექსორ კაპიტალ კორპს“, – განაცხადა ბაინდურაშვილმა.

„ლატარიის ბათამაშვის მონოპოლისტის „დაბაღიზა“ გარდების რეგულაციამდე“ საქართველოში მომგებიანი თამაშების ბიზნესს რამდენიმე კომპანია წარმართავდა. ლატარიის გამართვისთვის საჭირო ლიცენზიას ფინანსთა სამინისტრო გასცემდა და პირობების შესრულებასაც თავად აკონტროლებდა.

ლიცენზიის მიღება ნებისმიერ ფირმას შეეძლო, რომელიც სამინისტროს პირობებს დააკმაყოფილებდა. 2004 წლის სექტემბერში მთავრობის ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე ფინანსთა მაშინდელმა მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა წარმოადგინა პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში მომგებიანი თამაშების წარმართვა სახელმწიფოს უნდა ეთავა, ლატარიის გაათამაშებაზე სახელმწიფო მონოპოლია კანონით უნდა გამყარებულიყო. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიც მომზადდა, თუმცა მიღება იმ პერიოდში აღარ მოხდა.

სახელმწიფო ამ საკითხს 2009 წელს დაუბრუნდა, 24 მარტს ლატარიის გაათამაშების მომწყობ ყველა კომპანიას სახელმწიფომ ლიცენზია შეუნყვია. ამის მიზეზი „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების შესახებ“ კანონის ახალი ინტერპრეტაცია გახდა. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ლატარიებისა და მომენტალური გაათამაშების ლიცენზიის მფლობელი მხოლოდ ერთი კომპანია შეიძლება იყოს. კომპანიას, რომელსაც ეს უფლება 10 წლით ენიჭება, ფინანსთა სამინისტრო არჩევს.

„ლატარიის ბათამაშვის მონოპოლისტის „დაბაღიზა“

2009 წლის 15 აპრილს ფინანსთა სამინისტრომ ლატარიის გაათამაშების ლიცენზიაზე ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო კომისიაში საბოლოოდ 5 წინადადება აღმოჩნდა, ტენდერში გამარჯვებულად შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ გამოაცხადეს. ფინანსთა სამინისტროს ინფორმა-

ფოტო თემო პარკი/ბიზნესი



■ სახელმწიფომ ხელოვნურად შექმნა მონოპოლისტი, რომელსაც სასათბურე პირობები შეუქმნა. თუმცა ერთ დღესაც მომგებიანი კომპანია რატომღაც სახელმწიფოს აჩუქეს. რატომ უნდა ჩუქნიდეს ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია მომგებიან ბიზნესს სახელმწიფოს?

ციით, ამ კომპანიამ ბიუჯეტში სამომავლოდ შესატანი თანხის ყველაზე მაღალი ციფრი დაასახელა და ტენდერში ამიტომაც გაიმარჯვა. „შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით, კომპანიის მთლიანი დაგეგმილი შემოსავალი 10 წლის განმავლობაში იქნება 4 248 129 000 ლარი. შესაბამისად, შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში 10 წლის განმავლობაში შეადგენს 913 351 000 ლარს“, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე არსებულ განცხადებ-

ბაში.

„ლიბერალის“ 2010 წლის 22 მარტის გამოცემაში ლატარიის ბიზნესს ჩამოცილებული კომპანიები ტენდერის შედეგებზე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ერთ-ერთი იყო შპს „ფენიქსი“. ეს ფირმა ტენდერამდე რამდენიმე მომგებიან თამაშს მართავდა, ვიდრე ფინანსთა სამინისტრომ ლიცენზია არ შეუნყვიტა. „ფენიქსის“ ხელმძღვანელი ხათუნა ხოფერია ამბობდა, რომ კომპანიის დახურვა მისთვის შოკი იყო. „მოვასწრებდით მომზადებას ტენდერისთვის, მაგრამ

საკმაოდ დიდი კაპიტალდაბანდება იყო საჭირო. ვიპოვეთ ინვესტორი, მაგრამ ვიდრე მან მოამზადა თავისი წინადადებები, აპარატურის დასახელებები, აღწერილობები და ა.შ., დოკუმენტაციის შეტანა ვერ მოვასწარით“, – აცხადებდა ხოფერია „ლიბერალთან“ საუბარში.

„ვფიქრობთ, გამარჯვებულმა არარეალური ციფრები წარმოადგინა. ამხელა თანხის ამოღება, უბრალოდ, შეუძლებელია და გაუგებარია, რატომ მიანიჭეს უპირატესობა „საქართველოს ლატარიის კომპანიას“, – ამბობდა „ლიბერალთან“

ტენდერის დასრულებისას ერთ-ერთი დამარცხებული კომპანიის „ტექნოლოგია პლუსის“ ადვოკატი დიმიტრი გაბუნიანი.

საბოლოოდ, რამდენიმე დამოუკიდებელი ფირმის ნაცვლად, სახელმწიფომ ლატარიის გათამაშების უფლება ერთადერთ ფირმას, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ გადასცა. შეიქმნა მონოპოლისტი, ბაზარზე მანამდე მოქმედი ფირმები ლატარიის გათამაშებას ჩამოშორდნენ, ამ ფირმებს ლატარიების მოწყობით შემოსავალი გაუნულდათ, იქ დასაქმებულმა ადამიანებმა სამუშაო ადგილები დაკარგეს.

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ ტენდერის გამოცხადებიდან 3 კვირაში 2009 წლის 8 მაისს დაფუძნდა. კომპანიის დამფუძნებელი ოფსორში დარეგისტრირებული ფირმა „ლექსო კაპიტალ კორპია“. კომპანიის ერთადერთი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში 1987 წელს დაბადებული დიმიტრი ჩიქოვანია. დიმიტრი ჩიქოვანი ყოფილი დავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის ცოლისძმაა. დაფუძნების დღიდანვე ლატარიის კომპანიას საქმიანობას სახელისუფლებო ბიზნესად, მეპატრონედ კი დავით კეზერაშვილს ასახელებდნენ, ამ ცნობის რეალობა დოკუმენტაციაში დიმიტრი ჩიქოვანის გამოჩენამ გაამყარა.

კიდევ ერთი სახელისუფლებო კვალი ლატარიის კომპანიის მმართველ საბჭოშიცაა. 2010 წლის 10 მაისის სხდომის ოქმის მიხედვით, ლატარიის კომპანიის 5 ადამიანისგან დაკომპლექტებული მმართველი საბჭო შეიქმნა. საბჭოს ერთ-ერთი წევრი კახა დამენია გახდა. კახა დამენია 2005-08 წლებში ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, მისი ძმა ლაშა დამენია პარლამენტარია და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია.

საკანონმდებლო პრივილეგიები

მონოპოლისტ კომპანიას ხელისუფლებამ ლატარიის გავრცელების ქსელის

შექმნის სასათბურე პირობები შეუქმნა. 2010 წლის ზაფხულიდან თბილისის ქუჩებში რამდენიმე ათეული გუმბათიანი ჯიხური გამოჩნდა, სადაც პრესასთან ერთად ლატარიის ბილეთების გაყიდვა დაიწყო. ჯიხურებს კომპანიები „აუთდორ.ჯი“, „უაიდ დისტრიბუშენი“ და ლატარიის კომპანია ფლობენ. სამივე ფირმაში კეზერაშვილის ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანი ფიგურირებს. 2010 წლის სექტემბერში თბილისის მერიამ დადგენილება გამოსცა, რომლითაც ძველ თბილისში, მეტროს ამოსასვლელებთან, სანაპიროებზე, გამზირებზე ჯიხურების განთავსება აიკრძალა, აკრძალვამდე 1 კვირით ადრე, 14 სექტემბერს „უაიდ დისტრიბუშენს“ მერიამ ერთ დღეში 66 ჯიხურის დადგმის ნებართვა მისცა. ნაწილი იმ ადგილებში, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ გამოსულმა დადგენილებამ ჯიხურების განთავსება აკრძალა. მოგვიანებით ქალაქის მერიამ ამკრძალავ დოკუმენტში ცვლილება შეიტანა, რომლის თანახმადაც ლატარიის სარეალიზაციო ჯიხურების განთავსებაზე არანაირი აკრძალვა აღარ ვრცელდება.

მომგზობიანი საჩუქარი სახელმწიფოს

წარსულის თვალის გადავლებით ნათელია, რომ სახელმწიფომ ხელოვნურად შექმნა მონოპოლისტი, რომელსაც სასათბურე პირობები შეუქმნა. თუმცა ერთ დღესაც მომგზობიანი კომპანია რატომღაც სახელმწიფოს აჩუქეს. რატომ უნდა ჩუქნიდეს ოფსორში დარეგისტრირებული კომპანია მომგზობიან ბიზნესს სახელმწიფოს? გადავხედოთ ციფრებს.

2010 წლის 9 ნოემბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ლატარიის კომპანიამ და ფინანსთა სამინისტრომ ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართეს, სადაც 2010 წელი ფინანსურად შეაჯამეს. იქ გახმოვანებული ინფორმაციის თანახმად, ლატარიის კომპანიამ 2010 წელს ლატარიის ლიცენზიის მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში 10 მლნ. 675 ათასი ლარი შეიტანა. ამ ციფრით შესაძლებელია კომპანიის 2010 წლის მინიმალური ბრუნვის დადგენა. კანონით კომპანიას

ლიცენზიის მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში მისი წლიური ბრუნვის, მინიმუმ, 20% უნდა შეეტანა. თუ ჩავთვლით, რომ 2010 წელს ბიუჯეტში შეტანილი 10 მლნ 675 ათასი ლარი ბრუნვის 20% იყო, გამოდის, რომ კომპანიას შარშან დაახლოებით 53 მილიონიანი წლიური ბრუნვა ჰქონდა. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგზობიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონით, ლატარიის კომპანიას 2010 წლის 53 მილიონიანი ბრუნვიდან, 45%-ი (24 მლნ.ლარი) ლატარიის საპრიზო ფონდში უნდა ჩაებრუნებინა. გარდა ამისა, კომპანიამ 2010 წლის ბიუჯეტში სხვა გადასახადების სახით 2 მლნ. 800 ათასი ლარი შეიტანა. ყველა ამ გადასახადის შემდეგ ლატარიის კომპანიას დაახლოებით 26 მილიონი ლარი დარჩა, რომელიც ხარჯებს და სუფთა მოგებას მოიცავს. ლატარიის კომპანიის გასული წლის სუფთა მოგება კომერციული საიდუმლოა. თუ ბრიტანეთის მაგალითზე ვიმსჯელებთ, „ბრიტანეთის ნაციონალური ლატარიის კომპანიას“ ბიუჯეტში ორჯერ მეტი თანხა – წლიური ბრუნვის 40% შეაქვს, სუფთა მოგება კი ოფიციალურად 5% აქვს. ეს მინიმალური მოგებაც რომ ჩავთვალოთ, ქართული ლატარიის კომპანიის შარშანდელი მოგება ბრუნვიდან გამომდინარე, დაახლოებით 3 მლნ. ლარი გამოდის.

ვინ იხიარებს?

იყო თუ არა 2011 წელი ლატარიის კომპანიისთვის 2010 წლის მსგავსად უხეშემოსავლიანი? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს საქართველოს ფოსტის ხელმძღვანელის სააგენტო „პირველისთვის“ მიცემულ ინტერვიოში ვპოულობთ.

„მიმდინარე წელს ლატარიის კომპანიას საოპერაციო ბრუნვა 35 მლნ ლარით ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ 8 თვის მონაცემებით, ეს ციფრი მხოლოდ 17 მლნ ლარს შეადგენს. როგორც ჩანს, ნაგებაზე მუშაობდნენ, თუმცა შეიძლება წელი მაინც მოგებით დაესრულებინათ. სექტემბრისთვის ჩვენ უკვე შევძლებთ საოპერაციო მოგებაზე გადავიდეთ და წლის ბოლოსთვის დაგეგმილი 35 მლნ-ის ნაცვლად, საოპერაციო ბრუნვა 50 მლნ ლარზე დაფიქსირდეს“,

– აღნიშნა ბაინდურაშვილმა.

მის მიერ მოყვანილი ციფრის მიხედვით, ლატარიის კომპანიის ყოველთვიური ბრუნვა 2 მლნ 100 ათასი ლარი იყო. ამ მაჩვენებლით კომპანიის წლიური ბრუნვა დაახლოებით 25 მლნ ლარს მიაღწევდა, რაც შარშანდელი ბრუნვის ნახევარზე ნაკლებია და წინასწარ გაცხადებულ წლიურ 42 მილიონიან ბრუნვას დაახლოებით 15 მლნ ლარით ჩამორჩება. ეს მიანიშნებს, რომ კომპანიას გაკვეთილი პრობლემები ჰქონდა.

რა აჩუქეს სახელმწიფოს – მომგებიანი ბიზნესი თუ კომპანია, რომელიც ტენდერში გამარჯვებისას დადებულ პირობას ვერ ასრულებდა? რატომ ჰქონდა კომპანიას 35 მილიონიანი ბრუნვა დაგეგმილი, როცა ფინანსთა სამინისტროს განცხადების თანახმად, წელიწადში 42 მილიონის ღირებულების ბილეთები უნდა გაეყიდათ.

თუ ბაინდურაშვილის განცხადებას მივყვებით და ჩავთვლით, რომ კომპანია წაგებაზე მუშაობდა, გამოდის, რომ ის წლის ბოლოს სახელმწიფოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს ვერ შეასრულებდა. ვალდებულებების შეუსრულებლობას, წესით, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური სანქციების დანესება უნდა მოჰყოლოდა, რაც შესაძლოა ლიცენზიის ჩამორთმევის საფუძველიც გამხდარიყო.

ამ კითხვებს და ვარაუდებს ნათელს ლატარიის კომპანიის სატენდერო პაკეტი და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება მოჰყენდა, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ 2009 წლის აპრილში ტენდერის გამოცხადებამდე 1 დღით ადრე გამოსცა დადგენილება, რომლითაც ლატარიის ლიცენზიის გაცემაზე გამართული ტენდერის მასალები გაასაიდუმლოვა, დღემდე უცნობია ლატარიის კომპანიის პირობები და ვალდებულებები.

ლატარიის კომპანიის და საქართველოს ფოსტის წარმომადგენლების მიერ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე ლატარიის კომპანიის წარმომადგენელმა კომპანიის წილის სახელმწიფოსთვის გაცემის მოტივაციაზეც ისაუბრა:

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კომპანიის მხოლოდ 30%-იანი წილის მფლო-

საქართველოს ელტაბის ჯოპანიის ფინანსური მონაცემები 2010-2011 წლებში

2010 წელი

მინიმალური წლიური ბრუნვა	53.000.000 ლარი
ლატარიის ლიცენზიის მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში შეტანილი თანხა	10.675.000 ლარი
ბიუჯეტში სხვა გადასახადების სახით შეტანილი თანხა	2.800.000 ლარი
დარჩენილი თანხა	26.000.000 ლარი
მათ შორის დაახლოებითი სუფთა მოგება (5%)	3.000.000 ლარი

2011 წელი

დაგეგმილი წლიური ბრუნვა	35.000.000 ლარი
ბრუნვა პირველი 8 თვის მონაცემებით	17.000.000 ლარი
სავარაუდო წლიური ბრუნვა	25.000.000 ლარი
რეალური წლიური ბრუნვა დაგეგმილთან შედარებით	- 10.000.000 ლარი

რა აჩუქეს სახელმწიფოს – მომგებიანი ბიზნესი თუ კომპანია, რომელიც ტენდერში გამარჯვებისას დადებულ პირობას ვერ ასრულებდა? რატომ ჰქონდა კომპანიას 35 მილიონიანი ბრუნვა დაგეგმილი, როცა წელიწადში 42 მილიონის ღირებულების ბილეთები უნდა გაეყიდათ?

ბელეზად ვრჩებით, ჩვენი მოგება მაინც გაიზრდება“, – ამის შესახებ „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, ალექსანდრე გოგოხიამ „ლატარიის კომპანიისა“ და „საქართველოს ფოსტის“ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, სახელმწიფოსთან დადებული ბიზნეს-გარიგება ორივე კომპანიისთვის მომგებიანი იქნება. კომპანიაში განმარტავენ, რომ ამ გარიგებით, მათ ლატარიის ბილეთების დისტრიბუციისა და რეგონებში ოფისების შენახვის ხარჯები შემცირდება“. ნათქვამია სააგენტო ჯი-ეიჩ-ენის მიერ 2 სექტემბერს გაერცელებულ განცხადებაში.

საქართველოს ფოსტის ხელმძღვანელი ლატარიის კომპანიის შემოსავლების ზრდას ვარაუდობს და წლიური ბრუნვის 50 მილიონ ლარამდე გაზრდას გეგმავს. გაზრდილი შემოსავლით მოგება გაეზრდება კეზერაშვილთან დაკავშირებულ



ოფშორულ კომპანიასაც, რომელსაც 30%-იანი წილი შენარჩუნებული აქვს ლატარიის ქართულ ბიზნესში. კიდევ ერთი ვარაუდი მომგებიანი ლატარიის კომპანიის ხიბლით საქართველოს ფოსტის პრეზიდენტზეა, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ სახელმწიფომ ფოსტის გაყიდვა სცადა, თუმცა უშედეგოდ. რა მოხდა რეალურად – სახელმწიფომ მომგებიანი ბიზნესი იჩუქა, თუ ნამგებიანი სახელისუფლებო კომპანია გაკოტრებას გადაარჩინა? ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ გვაქვს.

სახაზებიანი ობიექტები და ბასსვისების სახაზები

საქართველოს მთავრობა ახალი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით სახელმწიფო საწარმოთა აქციების საერთაშორისო ბირჟებზე გატანას გეგმავს.

მანანა ვარდიაშვილი



„ლონდონის და ვარშავის ბირჟებზე გვინდა გავიტანოთ ისეთი კომპანიების აქციები, როგორებიცაა: „საქართველოს რკინიგზა“, „აესკორპორაცია“, „ელექტროსისტემა“. ეს საშუალებას მოგვცემს, ქვეყანაში დიდი რაოდენობის ახალი კაპიტალი მოვიზიდოთ. გარკვეულწილად, ეს იქნება სტიმული კერძო კომპანიებისთვისაც, რომ მათაც იგივე გააკეთონ და ლონდონის, ნიუ-იორკის და ვარშავის ბირჟებიდან საქართველოში თანხები შემოიტანონ.

ეს ხელს შეუწყობს დასაქმებას და ქვეყნის ეკონომიკის ზრდას“, – ასე დაასაბუთა ხელისუფლების ინიციატივა 10 აგვისტოს გამართულ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა.

არსებული საკანონმდებლო ბაზა აქამდე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების წილის გასხვისების შესაძლებლობას არ იძლეოდა. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივა პარლამენტში უკვე

შევიდა. რამდენიმე კვირის წინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში პირველი მოსმენით განიხილეს კანონპროექტი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. ცვლილებები შედის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონებში. ამ ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო ქონების აქციების და წილების უცხოურ ბირჟებზე გაყიდვა დასაშვებია ხდება.

პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა სახელმწიფო კომპანიების საკონტროლო პაკეტის გასხვისებას არ აპირებს.

„სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება აქციების 51% ან მეტი. შესაბამისად, საქართველოს დარჩება კომპანიების მენეჯმენტისა და მთავარი გადაწყვეტილების მიღების უფლება“, – ამბობს გილაური.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, საქართველოს მთავრობას ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში საუკეთესო საერთაშორისო საინვესტიციო ბანკები ეხმარებიან, რომლებიც სახელმწიფომ უკვე დაიქირავა.

მთავრობის გადაწყვეტილება საზოგადოებაში ცხარე კამათისა და მსჯელობის საგანი გახდა. მას მონინალ-მდეგებთან ერთად მომხრეც ბევრი ჰყავს.

„ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე ამბობს, რომ სახელმწიფო კომპანიების კერძო მფლობელობაში

გადასვლა ქართულ ეკონომიკას მხოლოდ წაადგება.

„ეს დადებითი პროცესის დასაწყისია. ცუდია, რომ შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, მთავრობამ საერთაშორისო ბირჟებზე სახელმწიფო კომპანიების მინორიტარული აქციების (15-25%) გატანა გადაწყვიტა. უმჯობესი იქნებოდა, რომ ამ კომპანიების სრული პრივატიზება მომხდარიყო. ნებისმიერ ქონებას სახელმწიფოზე უკეთ კერძო მესაკუთრე მართავს. ეს გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმაც დაადასტურა. შეცდომა იქნება აქციების ან წილის სხვა ქვეყნის სახელმწიფო კომპანიისთვის მიყიდვა. როცა კომპანია ერთი სახელმწიფოს საკუთრებიდან მეორის საკუთრებაში გადადის, ამით რეალურად არაფერი იცვლება. კერძო მესაკუთრე რომელი ქვეყნიდან იქნება, ამას ბიზნესისთვის მნიშვნელობა არ აქვს“, – ამბობს შეშელიძე.

ყოფილი ფინანსთა მინისტრი დავით ონოფრიშვილი ეკონომისტთა იმ ნაწილს მიეკუთვნება, რომელთათვისაც

საერთაშორისო ბირჟებზე სტრატეგიული კომპანიების წილების გაყიდვა გარკვეულ რისკებს და ეჭვებს უკავშირდება:

„სერიოზული ინვესტორები აქციების 20%-ით არ დაინტერესდებიან. მით უმეტეს, იმ პირობით, თუ კომპანიების მენეჯმენტისა და მთავარი გადაწყვეტილების მიღების უფლება ისევ საქართველოს მთავრობას დარჩება. როგორც ჩანს, ხელისუფლება ფარული პრივატიზების მორიგი ეტაპისთვის ემზადება. არ არსებობს საკანონმდებლო გარანტია, რომ საერთაშორისო ბირჟაზე გატანილი აქციების მინორიტარული წილი შემდეგში საკონტროლო პაკეტამდე არ გაიზრდება. მთავრობის მეთაურს სიტყვაზე ვერ ვენდობით. გილაური ერთი თვის შემდეგ შეიძლება პრემიერ-მინისტრი აღარ იყოს. მნიშვნელოვანი სახელმწიფო კომპანიების წილების გაყიდვა ქვეყნის ეკონომიკური ოკუპაციის რეალურ საფრთხეს ქმნის, რადგან სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდება იყვლება მეტად

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge
+995 32 505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

რუსეთის დაინტერესებული“, – ამბობს ონოფრიშვილი.

საქართველოში უკვე კარგა ხანია არსებობს ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რუსეთის ხელში გადასვლის შიში. ეს შიში განსაკუთრებით გასულ წელს გამძაფრდა, მაშინ, როცა მაგისტრალური გაზსადენი საქართველოს პარლამენტმა სტრატეგიული ობიექტების სიიდან ამოიღო (საქართველოს მთავრობაში მიიჩნევენ, რომ ვითარება შეიცვალა და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალურ გაზსადენს ის მნიშვნელობა აღარ აქვს, რაც მას რამდენიმე წლის წინ ჰქონდა, როცა საქართველოს გაზომომარაგების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. ახლა საქართველოს გაზის ორი მომწოდებელი ჰყავს: აზერბაიჯანული „სოკარი“ და ბაქო-თბილისი-ერზერუ-მის მილსადენის კონსორციუმი). კანონის თანახმად, ობიექტის გასხვისება უკვე ნებადართულია.

მილსადენის შექმნით დაინტერესებულია სომხეთი და აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია. თუმცა, შესაძლო ინვესტორად მაინც რუსეთის გაზის მონოპოლისტი „გაზპრომი“ განიხილება.

„გაზპრომისთვის“ მილსადენის მიყიდვის შესახებ საუბარი ახლა არ დაწყებულია. ამ თემაზე დისკუსია ხუთი წლის წინაც მიმდინარეობდა. მაგრამ, მაშინ აშშ-მა და საქართველომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც თბილისის მილსადენის მოდერნიზებისთვის ფული მისცეს. სანაცვლოდ საქართველოს მთავრობამ პირობა დადო, რომ მაგისტრალურ გაზსადენს არ გაყიდდა. მილსადენის რეაბილიტაციას 35 მლნ აშშ დოლარი მოხმარდა. „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში აშშ-თან გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა 2011 წლის 7 აპრილს ამოწურა. ახლა მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვას წინ არაფერი ელოდება.

მაგისტრალური გაზსადენის, „საქართველოს რკინიგზის“ და „ელექტროსისტემის“ კუთვნილი აქციების შექმნის პირველ პრეტენდენტებად რუსულ

კომპანიებს განიხილავენ თვითონ რუსეთშიც.

საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გასხვისების თემას რუსულმა გამოცემა „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ“ საგანგებო სტატია მიუძღვნა. სტატიაში – „მტრული პარტნიორობა“ გამოცემა წერს, რომ ქართული სახელმწიფო კომპანიების წილების საერთაშორისო ბირჟებზე გატანის შემდეგ, ქართულ ეკონომიკურ სივრცეში რუსეთის პოზიცია შეიძლება კიდევ უფრო გამყარდეს. პუბლიკაციაში საუბარია 3 ობიექტზე: მაგისტრალურ გაზსადენზე, რკინიგზასა და სახელმწიფო ენერჯისისტემაზე. სტატიის ავტორები წერენ, რომ ყველა ამ ობიექტის მიმართ ინ-

■ აქციების საერთაშორისო ბირჟებზე გატანით საქართველო უარს იტყვის გეოპოლიტიკური გადანყვებილების მიღებაზე და რუსეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს ქართული კომპანიების წილის ყიდვის თანაბარ შესაძლებლობას მისცემს.

ტერესს მოსკოვი 2008 წლის აგვისტოს ომამდეც იჩენდა.

„მოსკოვსკიე ნოვოსტისთან“ საუბარში რუსული კომპანია „გაზპრომის“ წარმომადგენელი სერგეი კუპრიანოვი ამბობს: „მაგისტრალურ გაზსადენზე რაიმე კონკრეტულის თქმა ახლა ძალიან რთულია. ამ გაზსადენით ტრანზიტი „გაზპრომისთვის“ ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია, რადგან ის გაზს სომხეთს აწვდის“.

რაც შეეხება საქართველოს რკინიგზას, რუსეთის რკინიგზის ახლანდელი ხელმძღვანელი ვლადიმირ იაკუნინი ჯერ კიდევ 2004 წელს აცხადებდა, რომ მზად იყო მის პრივატიზაციაში მონაწილეობა მიეღო. „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კითხვა, არის თუ არა იაკუნინი საქარ-

თველოს რკინიგზის შექმნით ამჟამადაც დაინტერესებული, რუსეთის რკინიგზის უწყებაში უპასუხოდ დატოვეს.

რუსულ „ინტერ რაოში“ კი გამოცემას განუცხადეს: „იმის მიხედვით, რა ობიექტს გამოიტანენ გასაყიდად და რა პირობებით, ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ ახალი აქციების ყიდვის შესაძლებლობა“.

რუსული კომპანია „ინტერ რაოს“ საკუთრებაში უკვე არის თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია „თელასის“ აქციათა 75%, მე-9 და მე-10 ენერგობლოკების აქციათა 100%, ხრამ-ჰესი-1 და ხრამ-ჰესი-2. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომიდან რამდენიმე თვის შემდეგ ქართულმა მხარემ „ინტერ რაო ექს“-ს მართვაში გადასცა ენერჯისი – სანარმო, რომელიც ქვეყნის მთლიანი ელექტროენერჯის თითქმის ნახევარს გამოიმუშავებს.

„ინტერ რაო ექს“-ს უფრო შორს მიმავალი გეგმებიც აქვს. კომპანიის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან 2011 წლის 1 აპრილს გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, „ინტერ რაო ექს“-ი მონაწილეობას მიიღებს საქართველოში არსებული ელექტროენერგეტიკული საწარმოების პრივატიზაციის პროცესში და გაზრდის საქართველოდან რუსეთისა და თურქეთის მიმართულებით განხორციელებული ელექტროენერჯის ექსპორტის მოცულობას.

პარლამენტი საკანონმდებლო ცვლილებებს საგარეუდოდ, საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებს. კანონებში ცვლილებების შეტანის შემდეგ, ქართული სახელმწიფო კომპანიების აქციები ლონდონისა და ვარშავის ბირჟებზე გაიყიდება. აქციების საერთაშორისო ბირჟებზე გატანით საქართველო უარს იტყვის გეოპოლიტიკური გადანყვებილების მიღებაზე და რუსეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს ქართული კომპანიების წილის ყიდვის თანაბარ შესაძლებლობას მისცემს – აქციებს იყიდის ის, ვინც მეტ თანხას გაიღებს. ახლა საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ბირჟებზე ხელსაყრელი მომენტის დადგომას ელოდება. ■



საქართველოს პარლამენტი საქართველოს ინტეგრაციის წინააღმდეგ

პარლამენტი ბოლო წლებში მიიღო რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც, ექსპერტთა აზრით, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას აფერხებს.

მაგდა მემანიშვილი, სტუდია „მონიტორი“

პარლამენტი საჯარო ინტეგრაციის წინააღმდეგ

დღეს მოქმედი პარლამენტი 150 წევრისგან შედგება, თუმცა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ათზე მეტი დეპუტატი, პროტესტის ნიშნად, სხდომებს აღარ ესწრება. საკანონმდებლო საქმიანობაში რეალურად 138 დეპუტატი მონაწილეობს, რომელთაგან 127 მმარ-

თველი პარტიის წევრია. პოლიტიკურ ოპოზიციას კი – 19 დეპუტატი წარმოადგენს. უქმდება ძველი და მტკიცდება ახალი კანონები, მოქმედ საკანონმდებლო აქტებში შედის ცვლილებები და ეს ყველაფერი ხშირად ნახევრად ცარიელ სხდომათა დარბაზში სუსტი ოპოზიციური წინააღმდეგობის, ხშირად კი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ხდება.

სასამართლოში ფოტო-ვიდეო გადაღების აპრობა

2007 წლამდე საქართველოში სასამართლო პროცესზე ფოტო-ვიდეო გადაღება და აუდიოჩანწერა ნებადართული იყო. 2007 წელს, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, პირდაპირი ეთერით გადაცემა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო დაკავებულთა სასამარ-

თლო პროცესი. განსასჯელები შინაგან საქმეთა სამინისტროს მალაჩინოსნები იყვნენ. მაყურებელმა პირდაპირ ეთერში იხილა, თუ როგორ იკითხებოდნენ პროცესზე საჯარო მოხელეები, აგრეთვე, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა ოჯახის წევრები. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და დაზარალებულთა მომხრეები პროცესზე უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ.

ტელეტრანსლაციიდან რამდენიმე თვეში პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი სასამართლო პროცესებზე ვიდეო და ფოტოგადაღების აკრძალვის ინიციატივით გამოვიდა. დასაბუთებაში, ე.წ. განმარტებით ბარათში ეწერა: „შესუსტდა კონსტიტუციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს“. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განხილულმა საქმეებმა ცხადყო, რომ ვერ ხერხდება ზემოაღნიშნული პრინციპების სრულყოფილად რეალიზება. ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოს საქმიანობაზე გავლენა არ მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, იგი გადაიქცა პოლიტიკური ვნებათაღელვის გამოვლინების ასპარეზად, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას“.

2007 წლის 11 ივლისს პარლამენტის სხდომაზე მყოფი 135 დეპუტატიდან 117-მა ჩათვალა, რომ სასამართლო პროცესებზე ჟურნალისტებს ფოტო და ვიდეოგადაღების უფლება არ უნდა ჰქონოდათ. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-12 მუხლში ჩაიწერა: „სასამართლო შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია დაუშვებელია...“. ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ კორესპონდენტები ცდილობდნენ ფოტო და ვიდეოკამერებით სასამართლოს ეზოებში მაინც ემუშავათ, თუმცა, მანდატურის სამსახური ფოტო-ვიდეოგადაღებას სასამართლოს ეზოებშიც კრძალავდა. სტუდია მონიტორის ჟურნალისტებს არაერთხელ გაუპროტესტებიათ ეს გარემოება, რადგან

ამკრძალავ ჩანანერში სასამართლოს ეზო არსად იყო ნახსენები. ცოტა ხნის შემდეგ ჟურნალისტებმა ეს ხელჩასაჭიდი არგუმენტიც დაკარგეს.

2009 წლის დეკემბერში პარლამენტმა ერთხმად მიიღო ახალი ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. ახალ კანონში დეფინიცია „სასამართლო შენობაში“ შეიცვალა სიტყვით „სასამართლოში“. კანონის მე-13 მუხლი ახლა ამბობს: „სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და

■ პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებიდან ძირითადად ფინანსდება ის კულტურული ღონისძიებები, რომლებსაც მართავენ მმართველი პარტიის მხარდამჭერი ხელოვანები. ეს ყველაფერი დღეს უკვე უკანონო ხარჯად აღარ ითვლება, რადგან საქართველოს პარლამენტმა ეს პროცესები კანონის ჩარჩოში მოაქცია.

ტრანსლაცია დაუშვებელია...“. ამრიგად, აკრძალვის ზონა კიდევ უფრო გაიზარდა, კანონმა ფოტო-ვიდეო კამერებისთვის მხოლოდ სასამართლო შენობის კი არა, მთლიანად სასამართლოს, მათ შორის, მისი ეზოს კარიც დახურა.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, პავლე კუბლაშვილს, აკრძალვის ზონის გაფართოება სამართლიანად მიაჩნია: „მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დაცვა, ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის და იმის, რომ სასამართლოზე არ ჰქონდეს არავის ზეგავლენის უფლება

არც სხდომათა დარბაზში, არც ეზოდან. თქვენ გახსოვთ პოლიტიკოსები, რომლებიც სკამებზე სირბილით გვამახსოვრებდნენ თავს სასამართლო დარბაზებში“.

იგი მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ცვლილებას ჟურნალისტებისთვის სრულიად არ შეუზღუდავს ინფორმაციის მოპოვების უფლება: „ჟურნალისტს აქვს შესაძლებლობა, რომ მიიღოს ყველა ის ინფორმაცია, რაც იქნება მისთვის საინტერესო ამ პროცესთან დაკავშირებით, და რაც არ განეკუთვნება საიდუმლოებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქედან გამომდინარე, რაიმე შეზღუდვაზე საუბარი ზედმეტია“, – აცხადებს კუბლაშვილი.


თუმცა, ამ აკრძალვით ჟურნალისტების მუშაობა შეიზღუდა, რადგან სასამართლო იყო ერთადერთი სივრცე, სადაც სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელთა ფოტო-ვიდეოგადაღება, აგრეთვე, მათგან კომენტარის მოპოვების რეალური შანსი არსებობდა. გარდა ამისა, ფოტო-ვიდეოგადაღებისთვის სასამართლოს დახურვამ ქართული მართლმსაჯულების გაუმჭვირვალობის ტენდენცია გააძლიერა.

ამის მაგალითი მედია.ჯი-ის მიერ 7 სექტემბერს გავრცელებული ახალი ამბავია. ამბის გმირი „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის“ ჟურნალისტი საბა წინიკაშვილია, რომელიც გორის რაიონულ სასამართლოში ერთ-ერთ სასამართლო პროცესს აშუქებდა.

„მოსამართლე ნინო გერგაულმა შემამჩნია, რომ ფურცელზე რაღაცას ვინიშნავდი, ამის გამო მან სხდომა შეწყვიტა და ჩაწერა ამიკრძალა. მითხრა, რომ სასამართლო განხილვის მხოლოდ მოსმენა შემეძლო“. ჟურნალისტის თქმით, გაფრთხილების მიღების შემდეგ მან სასამართლო სხდომის მიმდინარეობის ჩანიშვნა ხელისგულზე განაგრძო, რის გამოც მოსამართლისგან კიდევ ერთი შენიშვნა მიიღო. „რამდენიმე წუთში სხდომა გადაიდო, მიუხედავად იმისა, რომ დასაკითხი მოწმეები სხდომაზე გამოცხადდნენ“, – აღნიშნა წინიკაშვილიმა.


იურისტი ლია მუხაშავერია მიიჩნევს, რომ ფოტო-ვიდეო კამერების სასამართლო სხდომის დარბაზიდან, მით უფრო

ენიზიმა 1.
საქართველოს ჰიზონდნის
სახუნიჰომ ფონდი, 2006 წ.




■ ფონდის მოცულობა
■ გადახარჯვა

ენიზიმა 2.
საქართველოს ჰიზონდნის სახუნიჰომ
ფონდის ბაღსახუნიზის ენიზიმა
ნეზის მიხეღვით მიღომ ლიხეზი



ენიზიმა 3.
საქართველოს ჰიზონდნის ფონდის
მოსაღონსა ღა სხიჰვის ჰეღიჰეღა
ნეზის მიხეღვით მიღომ ლიხეზი



სხიღი 1.
საქართველოს ჰიზონდნის სახუნიჰომ ფონდის მოსაღონის
ღა ხეღიღი სხიჰვის ჰეღიჰეღა, 2004-2006წ.

წელი	ფონდის მოსაღონა	ხეღიღი სხიჰვა	ბაღსახუნიჰვა
2004	10 000 000 ლარი	34 564 666 ლარი	24 564 666 ლარი
2005	14 000 000 ლარი	39 911 037 ლარი	25 911 037 ლარი
2006	30 000 000 ლარი	38 542 614 ლარი	8 542 614 ლარი

წყარო: სავა

კი ეზოდან გამოსტუმრება, არასნორი გაღანწყვეტილება: „მე ვმუშაობდი ლონდონში და შეერთებულ შტატებში. უამრავ სასამართლოში მინახავს, ცნობილი განხილვების დროს როგორ მუშაობდა მეღა და არასოდეს ყოფილა შეზღუდვა. საქართველოსგან განსხვავებით, იქ სასამართლოებს ეზო არა აქვთ, აქვთ კიბეები. ფიღმებში ხომ გინახავთ, როგორ ხვდებიან ჟურნალისტები მხარეებს კიბეებზე და როგორ იღებენ მათგან ჩანანერებს?“ – ამბობს მუხამავრია.

ღღეს ჟურნალისტების ფოტო და ვიდეო კამერებს სასამართლოების ეზოებშიც აღარ უშვებენ. საქართველოს პარლამენტმა ამ შეზღუდვას კანონის ძალა მიანიჭა.

პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოში არსებობს ორი ფონდი – პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები, რომლებმაც არსებობა 2004 წლიდან დაიწყეს. ფონდების თანხები თავდაპირველად განკუთვნილი იყო მხოლოდ ფორსმაჟორული

სიტუაციების, მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფების დროს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლში პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების დანიშნულება ასე იყო განმარტებული: „საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორიცაა ბუნებრივი და სხვა კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებები“.

კანონის მკაფიო მოთხოვნის მიუხედავად, სარეზერვო ფონდებიდან ფული არამიზნობრივად იხარჯებოდა. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ 2005-07 წლებში ჩაატარა მასშტაბური ფინანსური მონიტორინგი „საქართველოს მთავრობა თავარა მზის ქვეშ“ და დაადგინა, რომ ფონდებიდან ფულის უდიდესი ნაწილი იხარჯებოდა გასართობ ღონისძიებებზე, მაგალითად, უცხოელი მომღერლების კონცერტებზე, დედაქალაქში ძეგლის დადგმაზე, საზღ-

ვარგარეთ ქართველ პარლამენტართა ვიზიტებზე. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ორივე ფონდიდან თანხები გადახარჯული იყო, ზოგჯერ სამასი პროცენტითაც კი. მაშინ ეს ფაქტები კანონის დარღვევად შეფასდა.

თუმცა, მას შემდეგ კანონი არაერთგზის შეიცვალა. 2005 წელს ტერმინი „სახელმწიფო ვალდებულებები“ შეიცვალა ტერმინით „გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯები“, 2009 წელს გაუქმდა კანონი „საბიუჯეტო სისტემების შესახებ“, დეკემბერში პარლამენტმა მიიღო ახალი საბიუჯეტო კოდექსი, რომლის 28-ე მუხლმა განმარტა სარეზერვო ფონდებიდან თანხების განკარგვის მიზანი. ახალ მიზანში უკვე აღარ არის ნახსენები ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები. ფულის ხარჯვის დანიშნულება კი ასეა განმარტებული – „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. ამრიგად, „ვალდებულება“

შეიცვალა ტერმინით „ხარჯი“, შემდეგ კი ტერმინით – ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელი“.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრის, თათული თოდუას თქმით, საკანონმდებლო ცვლილებებმა სახელმწიფო ფულის ხარჯვის მიზანი გააფართოვა: „უფრო მკაცრი, უფრო ვიწრო და ზუსტად ჩამოყალიბებული ტერმინებით უნდა მომხდარიყო ფონდის მიზნობრიობის დაზუსტება, რომ ასეთი შემთხვევები, რისთვისაც თანხა უნდა გამოიყოს, არის სტიქიური უბედურებები, სხვა საგანგებო მნიშვნელობის ღონისძიებები და ა.შ. ეს დღეს, სამწუხაროდ, არ გვაქვს“.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ლაშა თორდია აცხადებს, რომ ეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით განხორციელებული მხოლოდ ტერმინოლოგიური ცვლილებაა: „GFSM“-ის სისტემაზე, ზოგადად, არის საერთაშორისო მოთხოვნა. იქ დაზუსტდა კიდევ ტერმინოლოგიურად, რომ ეს არ იყო სახელმწიფო ხარჯი, საბიუჯეტო კანონში ტერმინი „სახელმწიფო ხარჯები“ შეიცვალა ტერმინით „სახელმწიფო გადასახდლები“. ეს კი სამართლებრივ ბაზასთან შესაბამისობაში მოყვანილი ტერმინია“.

„კავკასიის ეკონომიკისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტის“ ექსპერტი, დავით ნარმანიას თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა არ გულისხმობდა, რომ სარეზერვო ფონდებიდან ფულის ხარჯვა ნებისმიერი მიზნით შეიძლებოდა: „მე არ ვიცნობ სავალუტო ფონდის რაიმე სახის მოთხოვნას, რომელიც კონკრეტულად ამ საკითხებს და პრეზიდენტის და მთავრობის ფონდებს შეეხება. რაც შეეხება სავალუტო ფონდის კლასიფიკაციას, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სავალუტო ფონდის კლასიფიკაციის მოშველიება პრეზიდენტის და მთავრობის ფონდების მიზნობრიობის დასაკარგავად, ან კიდევ უფრო მეტად გასაფართოებლად არგუმენტებს და საფუძველს მოკლებულია“.

დღეს პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებიდან კვლავინდებურად ფინანს-

დება სხვადასხვა გასართობი ღონისძიება, მაგალითად, 2009 წელს 2 მლნ ლარით დაფინანსდა ალტერნატიული მუსიკის ხელშეწყობის პროექტი „ალტერეზიზა“, 2 მლნ 293 ათასი ლარით დაფინანსდა ბათუმში გამართული საახალწლო კონცერტი. როგორც სტუდია „მონიტორის“ ერთ-ერთი გამომცემი დადგინდა, პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებიდან, ძირითადად, ფინანსდება ის კულტურული ღონისძიებები, რომლებსაც მართავენ მმართველი პარტიის მხარდამჭერი ხელოვანები. ისინი პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან დიდი ოდენობის ჰონორარებსაც ღებულობენ. ეს ყველაფერი დღეს უკვე უკანონო ხარჯად აღარ ითვლება, რადგან საქართველოს პარლამენტმა ეს პროცესები კანონის ჩარჩოში მოაქცია.

კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

კიდევ ერთი კანონი, რომელმაც ბოლო წლებში არაერთი ცვლილება განიცადა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონია. ამ კანონში მოცემულია წესები, თუ როგორ უნდა მოხდეს საქონლის, ან მომსახურების შეძენა სახელმწიფო ფულით. 2006 წლიდან მოყოლებული პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებით შეიზღუდა კანონის მოქმედების სფერო და გაიზარდა აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებები.

▶ 2006 წლის ცვლილებების თანახმად, გადანყდა, რომ კანონი აღარ გავრცელდებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საზღვარგარეთულ ვიზიტებზე, ამ ცვლილებას 104 დამსწრე დეპუტატიდან 104-ივემ დაუჭირა მხარი.

▶ 2007 წლის ცვლილების თანახმად, შესყიდვების შესახებ კანონი აღარ ვრცელდება საქართველოს პარლამენტართა საზღვარგარეთ ვიზიტებზე, ამ ცვლილებას 111 დამსწრე დეპუტატიდან მხარი 111-ივემ დაუჭირა.

▶ ხოლო 2008 წლის ცვლილების თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის პროცედურები აღარ ვრცელდება „საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბი-

ლისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე“, ამ ცვლილებას 78 დამსწრე დეპუტატიდან 78-ივემ დაუჭირა მხარი.

აღსანიშნავია, რომ შესყიდვების შესახებ კანონის მე-10 მუხლში ისედაც არსებობდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ხელისუფლებას ყოველგვარი ტენდერის და კონკურსის გარეშე შეძლო ერთი პირისგან ეყიდა მომსახურება და საქონელი, თუკი არსებობდა „გადაუდებელი აუცილებლობა“. ამასთან, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, კანონი აწესებდა ზღვარს, კერძოდ, „შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 50.000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 100.000 ლარს“.

თუმცა, ტერმინი „გადაუდებელი აუცილებლობა“ საკმარისი არ აღმოჩნდა. 2006 წელს მე-10 მუხლს დაემატა „ე“ პუნქტი, რომელმაც ფულის პირდაპირი ხარჯვა ასე დაასაბუთა – „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად გატარების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგინდა შესყიდვების განხორციელება“. ამ მუხლს ხარჯვის ლიმიტი არ ჰქონდა და იგი 2010 წლამდე მოქმედებდა. კანონში ამ ცვლილებას 113 დამსწრე დეპუტატიდან 113-ივემ დაუჭირა მხარი.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია აცხადებს, რომ მსგავსი ჩანაწერის არსებობა აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკაა: „მსგავსი ჩანაწერი არის აბსოლუტურად ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში, ვინაიდან არ შეიძლება ხელისუფლებამ განსაზღვროს ყველა ის შემთხვევა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს და მოითხოვს ძალიან ეფექტურ და მყისიერ რეაგირებას ხელისუფლების მხრიდან. მაგალითისთვის, არის საუბარი ბუნებრივ კატასტროფებზე“, – აცხადებს ლაშა თორდია.

ჩვენ 2007 და 2009 წლებში პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ გამოცემული ის განკარგულებები მოვიხიეთ, რომელშიც თანხების ხარჯვა „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებით“ არის დასაბუთებული. თუ არ ჩავთვლით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს შექმნილ ფორსმაჟორულ სიტუაციას, ბუნებრივ კატასტროფებს და სხვა ისეთ შემთხვევებს, რომელსაც მყისიერი რეაგირება სჭირდება, ამ განკარგულებებში მინიმალური ადგილი უჭირავს.

სახელმწიფო ფული ყოველგვარი ტენდერის გარეშე დახარჯულია ისეთ წინასწარგანჭვრეტად და არაფორსმაჟორულ სიტუაციებზე, როგორცაა: ქუთაისისა და სიღნაღის რეაბილიტაცია, რთველისთვის ფულის გამოყოფა, საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სასუქის შექენა, საკონსტიტუციო სასამართლოს ფასადის შეღებვა, ზუგდიდში ყინულის მოედნის მშენებლობა, ზუგდიდის ტელეანდის შექვეთა-შეღებვა და სხვა მსგავსი ღონისძიებები. „შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად გატარების მიზნით“ არის დასაბუთებული ბათუმის რეაბილიტაციისთვის – 25 მლნ ლარის, ხოლო ნატახტარი-ალაიანის გზის განათების დამონტაჟებისათვის 3 500 000 ლარის გამოყოფა, რომელიც ფირმა „ნიუ ენერჯის“ გადასცეს. ბათუმის რეაბილიტაციისა და ნატახტარი-ალაიანის გზის განათების მაგალითები „ახალგაზრდა იურისტებს“ შესწავლილი აქვთ.

ლანა ლვინიანიძე („ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“): „ასეთი მასშტაბური და დროში გახანგრძლივებული პროექტების განხორციელებისას გაუგებარია, რატომ დადგა შეზღუდულ ვადებში რალაც ქმედებების დაფინანსების აუცილებლობა. ასეთ შემთხვევებში უნდა იყოს კარგი მენეჯმენტი და ცუდმა დაგეგმვამ არ უნდა გამოიწვიოს ეს პრობლემები“.

დავით ნარმანია: „როდესაც პერმანენტულად ფინანსდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა დაგეგმვაც წინასწარ იყო შესაძლებელი და ნაჩქარევად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით სწრაფად წყდება ყველაფერი, ეს იმას ნიშნავს, რომ კონკურსის წესებმა, თავისი პრაქტიკული დანიშნულება დაკარგა. კონკურენ-

ციის გარეშე კი ზარალდება ბაზარიც და სახელმწიფოც“.

პრივატიზაცია

კიდევ ერთი კანონი, რომელმაც პრეზიდენტის უფლებები გააძლიერა, ე.წ. „პრივატიზაციის შესახებ“ კანონია. დღესდღეობით იგი გაუქმებულია, თუმცა ახალ კანონში „სახელმწიფო ქონების შესახებ“ თავმოყრილია ყველა ის ცვლილება, რაც მისმა წინამორბედმა განიცადა. თავდაპირველად კანონში სახელმწიფო ქონების გასხვისების სამი

■ „როდესაც პერმანენტულად ფინანსდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა დაგეგმვაც წინასწარ იყო შესაძლებელი და ნაჩქარევად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით სწრაფად წყდება ყველაფერი, ეს იმას ნიშნავს, რომ კონკურსის წესებმა, თავისი პრაქტიკული დანიშნულება დაკარგა“.

მენტები პირდაპირი მიყიდვის წესთან გაერთიანდა, შეიქმნა ე.წ. „პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე“.

ლამა თორდია: „საქართველოს პრეზიდენტს აქვს უფლებამოსილება პირდაპირი მიყიდვის წესით გადასცეს ქონება და ეს მოტივირებულია მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ მოვიზიდოთ გარკვეული ინვესტორები, კონკრეტული ადამიანები და გაჩნდეს ინტერესი, რომ ამ ადამიანებმა ჩადონ გარკვეული თანხები საქართველოს ეკონომიკაში“.

ექსპერტების თქმით, კონკურენტულ საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა თავისი არსით გაყიდვის სამართლიანი ფორმაა, რადგან გულისხმობს ქონების გაყიდვას შეჯობრებითობის პრინციპზე, ანუ პრეზიდენტმა წარმოდგენილ წინადადებებს შორის საუკეთესო უნდა აირჩიოს. თუმცა, მუხლის ბოლოს პარლამენტმა დაამტკიცა ჩანანერი, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილია ამ ღონისძიებების გარეშე, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება.

საქართველოს უახლოეს წარსულში იყო არაერთი პრეცედენტი, როდესაც პირდაპირი მიყიდვის შესახებ პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარუმატებელი აღმოჩნდა. მაგალითად, დღემდე ეჭვქვეშ დგას სახელმწიფო შპს „თბილისის წყლის“ გასხვისება, რომელიც პრეზიდენტმა 2007 წლის 24 ნოემბერს თანამდებობიდან გადადგომამდე ერთი დღით ადრე გაყიდა. ამავ უფლების გამოყენებით პრეზიდენტმა გაასხვისა ცნობილი 100 საავადმყოფო, საბოლოოდ ეს გარიგება ჩაიშალა და მყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულება გაუქმდა. პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისდა ბორჯომი-ლიკანის სანატორიუმი, რომელიც მყიდველის დაპირების მიუხედავად, დღემდე არ გარემონტებულა.

საქართველოს პარლამენტში კვლავაც უქმდება ძველი და მტკიცდება ახალი კანონები. პარლამენტის უმრავლესობა დღემდე ძლიერი ერთსულოვნებისა და სუსტი წინააღმდეგობის პირობებში განაგრძობს საკანონმდებლო საქმიანობს. **■**



გზა: აუქციონი, კონკურსი და პირდაპირი მიყიდვა არსებობდა. აუქციონის შემთხვევაში სახელმწიფოსაგან ქონებას ყიდულობს ის, ვინც მეტს იხდის, კონკურსის დროს ის, ვინც უკეთეს პირობებს შესთავაზებს სახელმწიფოს, ხოლო მესამე შემთხვევაში გადაწყვეტილებას პრეზიდენტი ღებულობს. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ გაუქმდა კონკურსის წესი და მისი ელე-

ფოტოგრაფიაში

ოსტატთა მსახე

თემო ბარძიმაშვილი





თითქმის ოთხი საუკუნის წინ სპარსეთის მეფე აბას I-მა საქართველოში კამპანიის დროს სპარსეთში გადასახლა ქართველების დიდი ჯგუფი. ამის მიზეზი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სპარსეთის იმპერიის შიგნით თანაბრად გადანაწილება იყო, რაც მისი იმპერიის სიმტკიცეს ხელს შეუწყობდა. ამ გადასახლებულების ბევრ შთამომავალს დღესაც ახსოვს თავისი წარმოშობა და ამაყობენ კიდევ ამით.

ეს სიამაყე მაზანდარანის ერთ-ერთი სოფლის მაცხოვრებლებსაც აქვთ. სოფელს გორჯი მაჰალე ჰქვია, რაც „ქართველთა უბანს“ ნიშნავს, ხოლო მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩამოსახლებული ქართველების შთამომავლებია. ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებისგან განსხვავებით გორჯი-მაჰალეში არც ქართული კულტურა შემორჩა და არც ენა. მათ ქართულ წარმოშობაზე მიუთითებს დღემდე შემორჩენილი მხოლოდ რამდენიმე ქართული სიტყვა (მაგ. პეპელა) და ზოგი ოჯახის გვარიც. მაგრამ ადგილობრივები ამბობენ, რომ მათ წინაპრებისგან სხვადასხვა ხელობა შეინარჩუნეს. და მართლაც, ირანის ის ნაწილი, სადაც გორჯი-მაჰალეა განლაგებული, ახლაც ცნობილია როგორც ოსტატთა მხარე.






83 წლის ალიასლარმა მთელი თავისი ცხოვრება ირანულ ტრადიციულ საკრავზე, დოტარზე დაკვრას დაუთმო. ახლაც, მიუხედავად წლოვანების, მისი ერთი შეხედვით ხისტი თითები სხარტად მოძრაობენ საკრავის ყელის გასწვრივ და მელოდიაც რაკრაკით იღვრება. წლების წინ ალიასლარმა მაზანდარანში მცხოვრები თურქმენებისთვის დამახასიათებელი დოტარის სახეობა ადგილობრივი ჰანგების ასაქლერებლად ააწყო. მას შემდეგ დოტარი უფრო პოპულარული გახდა გორჯი მაჰალეში, თუმცა ალიასლარი მის უბადლო დამკვრელად რჩება.





მოჰამად-რეზა ეშალი გორჯის ქართულ წარმოშობაზე მისი გვარიც მიუთითებს. თუმცა წინაპრების გახსენებაზე მეტად მუსიკასა და საკრავებზე საუბარი იტაცებს. მის სახელოსნოში ათობით საკრავია: სიტარები, დოტარები, დასარტყამი ნალარე. თვითონ ოსტატი ამბობს, რომ საკრავებს მხოლოდ დაკვეთით ამზადებს და თითოს დახვეწას შეიძლება რამდენიმე თვე მოანდომოს. „ნებისმიერი საკრავის სრულყოფამდე მიყვანას დრო სჭირდება“, – ამბობს იგი. მოჰამად-რეზა საკრავებს ძველი ოსტატებისგან ნასწავლი, ტრადიციული წესით ამზადებს. ამჟამად სიმებიანი საკრავები ხის ნაწილებისგან იწყობა, ის კი მათ მთელი ხისგან თლის. მისი აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება „ნამდვილი“ ჟღერადობის მიღწევა. 





კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი

resourcesecurityinstitute.org www.laender-analysen.de www.res.ethz.ch www.boell.ge

უცხოური ინვესტიციები სომხეთში: კრიზისის ზეგავლენა და სხვა თავისებურებები

ჰარუთიუნ ხაჩატრიანი, ერევანი

ნახვები

ეკონომიკური ზრდის დონე სამხრეთი კავკასიის სამ ქვეყანაში ამ რეგიონში ჩადებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან უშუალო კავშირშია. სომხეთის მთავრობა ცდილობს, ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაცია მოახდინოს. 2010 წელს ინვესტიციების, მათ შორის უცხოური ინვესტიციების ოდენობა გაიზარდა არა მხოლოდ სამთო მრეწველობის, ტელეკომუნიკაციებისა და ენერჯეტიკის, არამედ საკვების გადამამუშავებელ და ტურისტულ სექტორებშიც.

უცხოური ინვესტიციების ევაქტურა სამხრეთ კავკასიაში

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, რომელმაც სომხეთამდე 2009 წელს მიაღწია, ბოლო წლებში ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა შედარებით სტაბილური რჩებოდა. მე-3 დიაგრამაზე ნაჩვენებია უცხოური ინვესტიციებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული მიმართება მშპ-სთან. ოფიციალური წყაროებიდან აღებული მონაცემები მშპ-ის შესახებ ერთმანეთისაგან განსხვავდება, რადგან ისინი აშშ დოლარებშია მოცემული. დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ ბოლო წლებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და მშპ-ის შორის შეფარდება სომხეთში საკმაოდ სტაბილური იყო: უცხოური ინვესტიციების 15-20% და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 8-9% მშპ-ში. კრიზისის დროს უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა, თუმცა 2010 წელს ზრდა ისევ დაინყო. უცხოური

ინვესტიციები და, კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ (თუმცა 2010 წელი გამონაკლისი იყო, რაც ქვემოთ იქნება განხილული).

მე-4 და მე-5 დიაგრამებზე მოცემულია აზერბაიჯანსა და საქართველოში ამ ინვესტიციების ოდენობისა და ეფექტურობის შედარება სომხეთში არსებულ მდგომარეობასთან. მაგალითად, აზერბაიჯანში უცხოური ინვესტიციებისა და მშპ-ის შეფარდება (დიაგრამა 4) ახლოსაა სომხეთთან: 12-20% 2007-2009 წწ. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ ინვესტიციების ოდენობა აზერბაიჯანში ბევრად დიდი იყო, ვიდრე სომხეთში (6-7 მილიარდი აშშ დოლარი წელიწადში სომხეთის 1.5-2.0 მილიარდ აშშ დოლართან შედარებით), მაგრამ ეს ინვესტიციები არც ისე ეფექტური იყო, როგორც სომხეთში (მშპ-ის სტიმულირების თვალსაზრისით, თუნდაც მოკლევადიან პერსპექტივაში). მსგავსი შედეგებია საქართველოს შემთხ-

ვევაშიც (დიაგრამა 5). ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით 2009 და 2010 წლებში საქართველოში შემოსული უცხოური და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა შემცირდა. 2010 წლის მონაცემები მოულოდნელია, რადგან საქართველოს მშპ გაიზარდა მაშინ, როცა ინვესტიციების ოდენობა შემცირდა. უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის შეფარდების ლოგიკაში ეს შემთხვევა გამონაკლისია. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დასავლეთის ბევრი ქვეყანა საქართველოს დახმარებას დაპირდა და ეს დაპირება შეასრულა კიდევ, მაგრამ კერძო ინვესტორები საქართველოში დაბრუნებას არ ჩქარობდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ 2008 წლის ომით გამოწვეული შოკი 2009 და 2010 წლებში ინვესტორებზე ჯერ კიდევ ახდენდა გავლენას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა და მისი მხარდამჭერები მათ ამშვიდებდნენ. ინვესტიციების შემცირების კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ 2008 წლამდე საქართველოსათვის ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო რუსეთი იყო, ამ ქვეყნის ინვესტორებს კი უშუალოდ ომის შემდეგ საქართველოსთან საქმის დაჭერა არ სურდათ.

უცხოური ინვესტიციები სომხეთში


რაც შეეხება სომხეთს, ბოლო წლებში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც წესი, 700-800 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით შემოდოდა, რაც მთლიანი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით ნახევარი იყო. ამ მხრივ გამონაკლისი 2009 წელი იყო, როცა სომხეთის მთავრობამ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სესხების მნიშვნელოვანი ოდენობა მიიღო (მათ შორის, რუსეთის მთავრობის მიერ სესხის სახით გამოყოფილი 500 მილიონი აშშ დოლარი), რათა მსოფლიო საფინანსო და ეკონომიკურ კრიზისს გამკლავებოდა. ამ სესხებმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დანაკლისი ნაწილობრივ შეავსო.

პირველ დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ 2009 წლის კრიზისის დროს სომხეთში შემოსული უცხოური ინვესტიციების ოდენობა 1.13 მილიარდი აშშ დოლარიდან 906 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა, მაგრამ მშპ-ის შემცირება კიდევ უფრო საგრძნობი იყო (სომხურ დრამებში ის 14%-ით დაეცა). მიუხედავად ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მშპ-ის შეფარდება 2009 წელს

სტატისტიკური მონაცემები


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მშპ

დიაგრამა 1: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სხვა ქვეყნებთან შედარებით (სუფთა ინვესტიციების პროცენტული მიმართება მშპ-თან 2009 წელს)




წყარო: მსოფლიო ბანკის World Development Indicators & Global Development Finance, <http://databank.worldbank.org/>

დიაგრამა 2: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში 1998-2009 წწ. (სუფთა ოდენობის პროცენტული მიმართება მშპ-თან, 2009)



წყარო: მსოფლიო ბანკის World Development Indicators & Global Development Finance, <http://databank.worldbank.org/>

დიაგრამა 3: უცხოური ინვესტიციები სომხეთში 2007-2010 წწ.



წყარო: სომხეთის ეროვნული სტატისტიკური სამსახური, www.armstat.am

უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე 2008-ში. ამას მოჰყვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კიდევ უფრო შემცირება (693 მილიონი აშშ დოლარი 2010 წელს), რაც, ცხადია, კრიზისით იყო გამოწვეული. თუმცა შეგვიძლია ისიც დავინახოთ, რომ უფრო ადრე ჩადებულმა ინვესტიციებმა თავისი როლი 2009 წლის „კრიზისის“ შემდეგ ეკონომიკის აღდგენაში მანძი ითამაშა.

ზოგადად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში სომხეთი დიდ სიძნელებებს აწყდება. ქვეყანა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი არ არის, რის გამოც უცხოელი ინვესტორები იმდენ ყურადღებას არ აქცევენ, რამდენსაც ამ მხრივ ძალიან მდიდარ ქვეყნებს, მაგალითად, აზერბაიჯანს. ამას გარდა, სხვა მრავალი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მსგავსად, სომხეთს თავისი სპეციფიკური პრობლემები აქვს, რაც მას უცხოელი ინვესტორისათვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი თურქეთის მხარდაჭერით აზერბაიჯანის მიერ დაწესებული საკომუნიკაციო ბლოკადაა. ეს ფაქტორი სომხეთში ინვესტიციების ჩადებას ართულებს, რადგან ქვეყანას დიდი სატრანსპორტო ხარჯების განევა უხდება. შესაბამისად, გარე სამყაროსთან კონტაქტების დამყარებისას სომხეთი საქართველოზე დამოკიდებული, რადგან მისი მეოთხე მეზობელი ირანი თვითონაც დასავლეთის ქვეყნების მხრიდან მკაცრი სანქციების ქვეშაა. ამ პოლიტიკური პრობლემების გამო სომხეთი არა მხოლოდ აზერბაიჯანთან (თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით), არამედ საქართველოსთან შედარებითაც კი უარესი პარტნიორია.

ამჟამად უცხოური ინვესტიციები სომხეთში ძირითადად სამთო მრეწველობაში, ენერჯეტიკასა და ტელეკომუნიკაციებში იდება. სწრაფი ტემპებით იზრდება სამშენებლო ბიზნესიც, თუმცა ამ სექტორში უფრო ადგილობრივი ინვესტიციები იდება, ვიდრე უცხოური. 2009 წლის ვარდნის შემდეგ მთავრობამ ეკონომიკის დივერსიფიკაციისაკენ მიმართული ძალისხმევა გააძლიერა, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა სხვა დარგებშიც გახდება საჭირო.

სომხეთის მთავრობა ცდილობს საინვესტიციო კლიმატი ხელსაყრელი იყოს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორებისათვის. 2000 წლიდან სომხეთმა უცხოელი ინვესტორებისათვის დაწესებული პრივილეგიები გააუქმა და ამჟამად უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები ერთნაირ პირობებში მუშაობენ. უცხოელებისათვის დაწესებული პრივილეგიების გაუქმებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვეყანაში ადგილობრივი ინვესტიციების დიდი და ჯერაც გამოუყენებელი პოტენციალი დაგროვდა. მთავრობის შეფასებით, სომხეთს განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ტურიზმის, მედიცინის, კვების მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის სექტორებში. 2010 წელს უცხოური ინვესტიციებს ძირითადად კვების მრეწველობის, ტურიზმისა და სამეცნიერო პოტენციალთან დაკავშირებული სექტორები იზიდავდა. მთავრობის აზრით, სომხეთში კარგი პერსპექტივები აქვს აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას. წარსულში ეს დარგი მნიშვნელოვან უცხოურ ინვესტიციებს

იზიდავდა (კერძოდ, ჩიპების ცნობილ ამერიკულ კომპანია Synopsys-ს სომხეთში დიდი საპროგრამო ფილიალი აქვს). მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში ეს დარგი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში ლიდერი სულაც არ არის.

მთავრობა წამახალისებელ ზომებს ქვეყანაში ინოვაციური ტექნოლოგიების შემოსატანადაც იყენებდა. მაგალითად, დაწესდა საგადასახადო შეღავათები ინვესტორებისათვის, რომლებიც სომხეთისათვის ახალი ტექნოლოგიების იმპორტს მოახდენენ. 20 წლის წინ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პრემიერ-მინისტრი ტიგრან სარქისიანი (რომელიც ამ თანამდებობაზე 2008 წლის აპრილიდან მუშაობს) პირველი იყო, ვინც სომხეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მზადყოფნა გამოთქვა. დამოუკიდებელი სომხეთის ისტორიაში ეს ასევე პირველი მთავრობაა, რომელიც პერსპექტიულ სომხურ კომპანიებს ფინანსურ დახმარებას უწევს. ასეთი რამ, მაგალითად, 2009 წლის კრიზისის დროს მოხდა. მთავრობა სომხეთში ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებისათვის ძალისხმევას 2011 წელსაც აგრძელებს.

2010 წელს სომხეთის ეკონომიკაში ყველაზე დიდი ინვესტიციები რუსეთმა, საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა ჩადეს - შესაბამისად, 270.3, 146.8 და 64.3 მილიონი აშშ დოლარი. მათი წილი სომხეთში ჩადებულ მთლიან უცხოურ ინვესტიციებში 2010 წელს 38.5, 20.9 და 9.2 პროცენტი იყო. 2010 წელს სომხეთის ყველაზე დიდ ინვესტორად რჩებოდა რუსეთი, რომელმაც ენერჯეტიკის, სამთო, ტელეკომუნიკაციებისა და სხვა სექტორებში ჩადო ფული.

ინვესტიციები და სომხური დიასპორა

სომხეთს ბევრი სხვა ქვეყნისაგან დიდი დიასპორა გამოარჩევს. საზღვარგარეთ მცხოვრები ბევრი სომეხი წარმატებული ბიზნესმენია. მრავალი მათგანი ფულს სომხეთში მხოლოდ იმიტომ აბანდებს, რომ ეთნიკურად სომეხია. ინვესტიციების ჩადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს ეთნიკური ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ მოიპოვება, თუმცა ცნობილია, რომ სომხური დიასპორის წარმომადგენლების მიერ ჩადებული ინვესტიციების ოდენობა, ჩვეულებრივ, დიდი არ არის. შეუძლებელია მათი შედარება, ვთქვათ, რუსული კომპანია „გაზპრომის“ ინვესტიციებთან. თუმცა არის გამონაკლისებიც. მაგალითად, 2008 წელს სომხეთში მეორე უდიდესი ინვესტორი რუსეთის შემდეგ არგენტინა იყო (2010 წელს ეს ქვეყანა მეოთხე ადგილზე გავიდა). არგენტინის ეს პოზიცია ერთი ადამიანის, სომხური წარმოშობის არგენტინელი ბიზნესმენის ედუარდო ერნეკიანის დამსახურება იყო. ერნეკიანი წილების მეტ ნაწილს ფლობს კონსორციუმში, რომელიც არგენტინასა და სხვა ქვეყნებში ათობით აეროპორტს ხელმძღვანელობს. 2001 წელს სომხეთის მთავრობასა და ერნეკიანის Corporacion America-ს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელმა სომხეთის მთავარი საჰაერო ჭიშკრის, ერენის ზვართნოცის საერთაშორისო აეროპორტის მოდერნიზაცია უნდა მოახდინ-

ნოს და მენეჯმენტის უზრუნველყოფის იმ დროს გარიგება 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით დაიდო, თუმცა ინვესტორმა მას შემდეგ ზვართ-ნოცში ბევრად მეტი ფული ჩადო. აეროპორტის გარდა ერნეკიანმა სახსრები სოფლის მეურნეობასა და საბანკო სექტორშიც დააბანდა.


ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა დიდი პოტენციალი შეიძლება ჰქონდეს სომხურ დიასპორას სომხეთის ეკონომიკაში, თუმცა აღწერილი შემთხვევა ტიპური არ არის, რადგან საზღვარგარეთ მცხოვრები სომხების უმრავლესობა საშუალო ბიზნესშია დაკავებული. სომხეთის ხელისუფლება სხვადასხვა ზომას მიმართავს, რომ ეს რესურსი უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული. ამ ზომებს შორისაა სრულიად სომხეთის ბიზნესშეხვედრები, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში გაიმართა. ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი სერჟ სარქისიანის თავმჯდომარეობით 2008 წელს დიასპორის სამინისტროს შექმნა იყო. 2011 წლის აპრილში სამინისტრომ სომეხი ბიზნესმენების მსოფლიო ქსელის შექმნა სცადა, თუმცა ჯერ კიდევ არ არის ცხადი, ეს ნაბიჯი რა შედეგებს მოიტანს. ამჟამად სომხეთის ეკონომიკაში დიასპორის წვლილი დიდი არ არის, თუმცა ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამხრეთი კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოუგვარებელი კონფლიქტების შედეგად დაწესებული ბლოკადა სომხეთში ინვესტიციების შემაფერხებელი უმთავრესი ფაქტორია, თუმცა ქვეყნის მთავრობა უპრეცედენტო ზომებს მიმართავს იმისათვის, რომ ქვეყანა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიზიდველი გახადოს.


ავტორის შესახებ:

ანალიტიკოსი და ჟურნალისტი ჰარუთიუნ ჩაჩატრიანი სომხეთის დედაქალაქ ერევანში ცხოვრობს. ის ასევე ყოველკვირეული **Noyan Tapan Highlights**-ის მთავარი რედაქტორია.




სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოსატყვევებს ჰაინრიჰ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

დიაგრამა 4: უცხოური ინვესტიციები აზერბაიჯანში 2007-2010 წწ.



წყაროები: სომხეთის ეროვნული სტატისტიკური სამსახური, www.armstat.am; *Azerbaijan in Figures*, მისამართზე: <http://www.azstat.org/publications/azfigures/2010/en/020.shtml>; 2010 წლის მონაცემები აზერბაიჯანის შესახებ იხ. მისამართზე: <http://www.azstat.org/macroeconomy/indexen.php>. 2010 წლის მონაცემები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ხელმისაწვდომი არ არის. სავარაუდო მარჯვენა გვერდი 12 პროცენტია.

დიაგრამა 5: უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2007-2010 წწ.



წყაროები: სომხეთის ეროვნული სტატისტიკური სამსახური, www.armstat.am; http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&lang=eng და http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=140&lang=eng

ჰაეხიო, ბიჭებო, ჰაეხიო!!



დასამალი არაფერი გვაქვს, ეს ისედაც ყველამ ვიცით – თბილისი დაავადებული მანქანების ქალაქია. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დღეს ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია დავუკავშირდეთ რომელიმე ავადმყოფტვინიან პროდიუსერს ჰოლივუდში და ავადმყოფი მანქანების შესახებ კოპროდუქცია შევთავაზოთ. რატომაც არა? თუ არსებობს ფილმები ამბოხებულ მანქანებზე, ეჭვიან მანქანებზე, შეყვარებულ მანქანებზე, რატომ არ შეიძლება ავადმყოფ მანქანებზე ფილმის გადაღება? იაფიც დაუჯდებათ და კასტინგის დროსაც დიდი არჩევანი ექნებათ; იქ მანქანები სპეციალურად ფილმისთვის უნდა გააფუჭონ, აქ კი, სულო, გულო, აირჩიე რამდენიც გინდა. მოკლედ, ცუდი იდეა ნამდვილად არაა. თანაც, ადგილობრივ ავადმყოფ მანქანებსაც დავასაქმებთ და მათ ავადმყოფ პატრონებსაც. სიუჟეტი? აი, თუნდაც ერთი კარგი იდეა – ხვდებიან რა ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზს, ორი სასიკვდილოდ დაავადებული მანქანა ცდილობს გაუქმებული ტექდათვალიერების აღდგენას და ამ მცდელობის დროს ქალაქის ლამის ნახევარზე მეტ მანქანას გამოიყვანენ საპროტესტო აქციებზე. ყველაფერი თითქოს წარმატებით უნდა დასრულდეს, მაგრამ ბოლო მომენტში აღმოჩნდება, რომ ორი ლიდერი მანქანიდან ერთი გეია...

„მარაზმია!“ – წამოიყვირებთ თქვენ და სწორიც იქნებით, მაგრამ მე მაინც სიამოვნებით შეგიღრენთ და მოგახლით – „როგორი მარაზმული სიტუაციაა გვაქვს, იმის შესაბამის შესავალს გთავაზობთ!“ ამის შემდეგ კი დაიწყება კამათი და განეგ-გამოწევა იმაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ თუნდაც ოდნავ გამოვასწოროთ მდგომარეობა და ასე შემდეგ. ყველაზე ხშირი არგუმენტი მანქანების სავალდებუ-

ბულო ტექდათვალიერების წინააღმდეგ ისაა, რომ ის კორუფციის ბუდე იყო და შეიძლება ასეც გაგრძელდეს, და რომ სავალდებულო ტექდათვალიერების გამკაცრებული ვარიანტის „რეინტროდუქციის“ შემთხვევაში შეიძლება, თბილისი ლამის უმანქანოდ დარჩეს, და რომ ბევრს მოესპობა ლუკმა-პურის შოვნის საშუალება, და რომ საწვავის ბიზნესი „ჩანვება“, და რომ... არგუმენტებს, ისეთსაც და ასეთსაც, რა გამოლევს!

მეორე მხრივ, ყველამ ძალიან კარგად ვიცით ისიც, რომ ტლიკინისთვის გამოყოფილი დრო მიიწურა და ამის დასამტკიცებლად პირადად მე უკვე არც „ექსპერტების დასკვნები“ მჭირდება და არც არავის შემამინებელი განცხადებები; „ცხვირის დონეც“ საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რა ხდება ამ ქალაქში და ეს პრობლემა ხვალ და ზეგ კი არა, დღეს უნდა გადაწყდეს. სიმართლე გითხრათ, ჩემზე რომ იყოს, ყველა გადაწყვეტილ-



■ ტლიკინისთვის გამოყოფილი დრო მიიწურა და ამის დასამტკიცებლად პირადად მე უკვე არც „ექსპერტების დასკვნები“ მჭირდება და არც არავის შემამინებელი განცხადებები.

ბის მიმღები პირის დღის განრიგში ერთ-ერთ აუცილებელ პუნქტად ჩავნერდი დღის რომელიმე მონაკვეთში ქალაქის რომელიმე გადატვირთული გზაჯვარედინის მახლობლად ქუჩაში დგომას და ამას სამუშაო დროის გაცდენად ნამდვილად არ ჩავუთვლიდი, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიახვედრო მიუხვედრელი ვილაც-ვილაცები, თუ როგორი სახიფათოა დაავადებული მანქანებით სავსე ქალაქში მათი და მათი ოჯახების ცხოვრება; გზაჯვარედინზე დგომაც არაა საჭირო! უბრალოდ, გამოვიდნენ კაბინეტებიდან, გადმოვიდნენ მანქანებიდან და თუ ცხვირები ისევ ადგილზე აქვთ, გაიარონ ქალაქში ერთი საათი მაინც.

ვინც „ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერებს“ კითხულობს, იცის, რომ პათეტიკა ჩემი ძლიერი მხარე ნამდვილად არაა, მაგრამ ყოველ დილას ქალაქში რომ გავდივარ და რანამს ცხვირში ეს-ესაა ჩავლილი მანქანის მიერ სპეციალურად ჩემი ფილტვებისათვის დატოვებული ყროლი მხედება, ვხვდები, რომ ჯერ კიდევ ვერ მომიძებნია გინების ან პათეტიკური შეძახილების მიღმა არსებული მიმართვის ფორმა, შესაბამისად, ვერც ამ ტექსტისთვის მოვიფიქრე ისეთი რამ, რაც „ბავშვებზე-მანც-იფიქრეთ-ხალხნი-არა-ხართ!“-ის დონეს სცილდება, რადგანაც ამ ზღვარს იქით ყველა ჩვენგანისთვის სასიცოცხლო, სასწრაფო გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა იწყება, რომლის დაჩქარებაც არავის უნდა.

ამიტომაც, სანამ ამ საკითხის გადაწყვეტის პროცესში ვართ, მე იმ ჰოლივუდური სცენარის იდეის მოყოლას გავაგრძელებ. სად შევჩერდით? ჰო, მოკლედ, იმ საპროტესტო აქციების ამგორებელი ორი ავადმყოფი მანქანიდან ერთი გეი აღმოჩნდება და... **■**



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშურნი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

